



EUROPEAN CENTRE  
FOR  
MINORITY ISSUES

საქართველო და რეგიონალური ან უმცირესობათა  
ენების ევროპული ქარტია

ჯონატან უითლი

ECMI-ის სამუშაო მოხსენება № 42

ივნისი, 2009 წ.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)  
ECMI სათავო ოფისი: Sifbriuke 12 (kompagnietor) D-24939 ფლენსბურგი, გერმანია  
ტელ: +49-(0) 461-14 14 9-0 ფაქსი +49-(0) 461-14 14 9-19 ვებგვერდი: <http://www.ecmi.de>

ECMI-ის სამუშაო მოხსენება № 42  
უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)

საავტორო უფლებები 2009 წლისთვის ეკუთვნის უმცირესობათა საკითხების  
ევროპული ცენტრის (ECMI)  
გამოქვეყნებულია 2009 წლის ივნისში უმცირესობათა საკითხების ევროპული  
ცენტრის მიერ (ECMI)

ISSN: 1435-9812

## სარჩევი

<b>I. შესავალი</b>	<b>4</b>
<b>II. საქართველოში მნობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება</b>	<b>8</b>
1. ნაწილის II-ის გამოყენების მოცულობა	8
2. დაცვის საჭიროება	18
3. დაცვა რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის ნაწილი II-ის შესაბამისად	20
<b>III. მნობრივი უფლებები და სამოქალაქო ინტენსიური მნიშვნელობები</b>	<b>24</b>
1. განათლება	30
2. მართლმსაჯულების სისტემა	33
3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები	35
4. მედიის საშუალებები	38
5. კულტურა	41
6. ეკონომიკური საქმიანობები	43
7. საზღვარო შორისი გაცვლა	44
8. ნაწილი III-ის გამოყენების შეჯამება	44
<b>IV. დასტვა</b>	<b>45</b>
<b>დანართი 1:</b> რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია	<b>47</b>

## I. შესავალი

საქართველო მრავალენოვან და მრავალეთნიკურ საზოგადოებას წარმოადგენს. მრავალ უმცირესობათა ენაზე საუბრობენ საქართველოში, მათ შორისა: აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული, უკრაინული, ქურმანჯი (ქურთული), ჩეხნური (ქიხტური), ოტომანური თურქული, პონტიური ბერძნული, სირიული, ავარული, წოვა-თუშური და უდინური. ამის გარდა, ქართული მოსახლეობის უმეტესობა საუბრობს ოთხ განსხვავებულ ენაზე – ქართული, მეგრული, სვანური და ლაზური – თუმცა ისინი ძირითადად ადგილობრივ ენებს წარმოადგენენ და არ გამოიყენება წერითი ფორმით. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, ოფიციალური სახელმწიფო ენა არის ქართული, აფხაზეთში ასევე აფხაზური. უმცირესობათა ენების უმეტესი ნაწილი გამოიყენება მხოლოდ ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში.

1999 წლის აპრილში, ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას, საქართველომ ვალდებულება აიღო, ხელი მოეწერა რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიაზე და მისი რატიფიცირება მოეხდინა გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში. თუმცა ევროპის საჭოში გაწევრიანებიდან ათი წლის შემდეგ, საქართველოს არც ქარტიაზე მოჟერია ხელი და არც მისი რატიფიცირება მოჟხდებია.

ამ საკითხის დაყოვნების რამოდენიმე მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი არის ის, რომ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში, რომელიც საბოლოოდ 2003 წლის ნოემბერში გარდების რევოლუციით დამთავრდა, საქართველო ნელ-ნელა კარგავდა სტიმულს, უფრო სრული ინტეგრაცია მოეხდინა ევროპულ სტრუქტურებთან. საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში 1999 წელს ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ უგანია, რომელიც ევროპულ სტრუქტურებთან ინტეგრაციის მხარდამჭერი იყო. თუმცა 2001 წლის ბოლოსათვის, უგანია და მისი მომხრეები წარმოადგენდნენ ოპოზიციას და ედუარდ შევარდნაძის უკიდურესად იზოლირებული მთავრობისათვის ევროპის საბჭოში სრულყოფილი მონაწილეობა არ იყო პრიორიტეტი. ვარდების რევოლუციის შემდეგ, პრო-ევროპული პოლიტიკური

ორიენტაცია აღდგენილ იქნა და 2005 წლის ბოლოს პარლამენტმა ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციის რატიფიცირება მოახდინა. ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა არ გამოხატავს მონდომებას მოახდინოს ენების ქარტიის რატიფიკაცია.

შეყოვნების ერთ-ერთი მიზეზი არის ქართულენოვანი მოსახლეობის უმრავლესობაში გავრცელებული საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც მხარს უჭერს პარლამენტარების და სახელმწიფო მოხელეების დიდი ნაწილი. ენა ძალიან პოლიტიზირებული საკითხია და ქართულ ენას მინიჭებული აქვს თითქმის წმინდა სტატუსი, როგორც ქართული ერის არსებობის წყაროს. ენის ცენტრალურმა პოზიციამ ეთნო-ნაციონალურ პოლიტიკურ შეხედულებაში აპოგეას მიაღწია 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში, თუმცა იგი დღესაც აქტუალურია. ამავდროულად, საქართველოში უმცირესობათა ენების გამოყენება განისაზღვრება ქართული უმრავლესობის მიერ როგორც შეცდომა, რომელიც საჭიროებს შესწორებას. ამას აგრეთვე ემატება ის აზრი, რომ ეროვნული უმცირესობები წარმოადგენენ თავისებურ “მესამე კოლონას”, რომელთა ერთგულება სახელმწიფოს მიმართ არასდროს არ არის გარანტირებული. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის ფილოსოფიურ გამოწვევას წარმოადგენს იმის გათვითცნობიერება, რომ უმცირესობათა ენები წარმოადგენენ ქვეყნისთვის კულტურული სიმდიდრის წყაროს.

თუმცა, ეს იდეოლოგიური მიდგომა არ არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ საქართველომ დღემდე არ მოაწერა ხელი ენების ქარტიას. აგრეთვე არსებობს საკმაოდ პრაქტიკული საკითხი, შეიძლება თუ არა, ერთი მხრივ, ინტეგრაციის მიზნების და, მეორე მხრივ, უმცირესობათა ენების წახალისების, შეთანხმება. ერთიანი საზოგადოების, ანუ დემოსის, რომელიც ეფუძნება ცნებას “ჩვენ, ერი”, შექმნის საკითხში საქართველოს ძირითად პრობლემას წარმოადგენს ერთიანი ენის არარსებობა, რომელზეც მთელი ერი ისაუბრებს. ეს საკითხი პრობლემატურია თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკისათვის. საქართველოში ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დადგა 1990-იან და

ადრეულ 2000-იან წლებში სახელმწიფოს სისუსტის გამო, რასაც დაქმატა გეოგრაფიულად იზოლირებული არაქართულენოვანი მოსახლეობის ქვეყნის სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრაციის წარუმატებელი მცდელობები. 2002 წლის მოსახლების საერთო აღწერითი მონაცემების თანახმად, საქართველოს ეროვნული უმცირესობების მხოლოდ 31%-ი თავისუფლად ფლობს ქართულ ენას; 1979 წელს ეს მაჩვენებელი 19,5% შეადგენდა<sup>1</sup>. პროცენტული ზრდა ძალიან დაბალია, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნული უმცირესობების მრავალმა წარმომადგენელმა დატოვა ქვეყანა დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ და ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ისინი ვინც ცუდად ფლობდნენ ან საერთოდ არ ფლობდა ქართულ ენას, უქნებოდათ წასვლის ყველაზე დიდი მიზეზი. ამიტომ, შესაძლებელია, რომ ეს დაბალი ზრდაც კი (19,5%-დან 31%-მდე) არის უფრო იმიგრაციის შედეგი, ვიდრე სახელმწიფო ენის გაუმჯობესებული ცოდნის მაჩვენებელი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თითქმის ყველა ბეჭდვითი მასალა და სახელმწიფო დოკუმენტი ქვეყნება ქართულ ენაზე, ბევრ თემში, სადაც უმცირესობების ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობაა კონცენტრირებული, რომლებიც ცუდად ფლობს ან საერთოდ არ ფლობს ქართულ ენას, იმყოფებიან ინფორმაციულ ვაკუუმში და მცირედი წარმოდგენა აქვთ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. ეს განსაკუთრებით მიესადაგება ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ აზერბაიჯანულ და სომხურ თემებს, სადაც უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებასთვის დამახასიათიაბელი იყო საკუთარი თავის აზერბაიჯანულ და სომხურ, და არა ქართულ კულტურულ სივრცესთან მიმხრობის ტენდენცია.

სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემის გადაწყვეტა მდგომარეობს ჭეშმარიტად მრავალენოვანი საზოგადოების განვითარებაში, სადაც ინსტიტუციურ დონეზე არსებობს ორენოვნების (ბილინგუალიზმის) წახალისების ტენდენცია და არ აქვს ადგილი იზოლაციონიზმის და საზოგადო სფეროდან უმცირესობათა ენების აღმოფხვრას. უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობისთვის საჭიროა მოტივაციის შექმნა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის, რათა

<sup>1</sup> წყაროები: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები; საქართველოს სსრ-ის ცენტრალური სტატისტიკური უწყება, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერის შედეგები 1979 წლისთვის საქართველოს რესპუბლიკური (თბილისი, 1980 წ.).

მათ სურვილი ჰქონდეთ ისწავლონ ქართული ენა და ამ გზით ინტეგრირება მოახდინონ ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამავდროულად, საჭიროა უმცირესობათა ენებზე მოღაპარაკე მოსახლეობის დარწმუნება, რომ სახელმწიფო ნამდვილად აფასებს მათ ენებს და კულტურას და არ აქვს “ფარული გეგმა”, მოახდინოს მათი ასიმილაცია.

თუმცა, ერთის მხრივ, ქართული საზოგადოება ხასიათდება სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში გამოცდილების არ ქონით და დიდი ენობრივი თემების მეტნაკლებად განცალკევებული განვითარებით – როგორიცაა ქართველები, აზერბაიჯანელები ქვემო ქართლში და სომხები სამცხე-ჯავახეთში, უფრო პატარა ენობრივ ჯგუფებს ნაკლები საშუალება ჰქონდათ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და შეიძლება ასიმილაცია მათ ხელსაყრელ პირობადაც კი ჩაეთვალათ - ეს ყველაზე მეტად მიესადაგება ძალზე მცირერიცხოვან ენობრივ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, უდინები, წოვა-თუშები, ავარები და ასირიელები, რომლებსაც ნაკლებად გააჩნიათ შესაძლებლობა მისცენ საკუთარ შვილებს განათლება მშობლიურ ენაზე. ამ უმცირესობებს, სომხებისა და აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით, არ აქვთ მონათესავე სახელმწიფო, სადაც გააყდერებენ თავის პრობლემას, და პრაქტიკულად არ გააჩნიათ საკუთარი ენის შენარჩუნების საშუალება. ამიტომ საჭიროა დაუყონებლივი და აქტიური ზომების მიღება, ამ ენების გადასარჩენად. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის მეორე ნაწილში აღწერილია მექანიზმი, რომელიც ამ მიზნის მიღწევას შესაძლებელს ხდის.

წინამდებარე მოხსენება გაყოფილია ორ ნაწილად. პირველში მე განვიხილავ იმ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შენარჩუნების საკითხს, რომლებსაც გაქრობა ემუქრება. ეს ეხება არა მარტო ზემოთჩამოთვლილ უმცირესობათა ენებს, არამედ სამ რეგიონალურ ქართულ ენასაც – მეგრულ, სვანურ და ლაზურ ენებს, რაც პოლიტიკურად საკამათოა, რადგან მათი აღიარება განსხვავებულ ენებად შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას, როგორც მუქარა ქართული ერის ერთიანობის მიმართ. ამ მოხსენების პირველ ნაწილში განხილული იქნება ამ ენების დაცვა ენებროვი ქარტიის მეორე ნაწილში აღწერილი მექანიზმების გამოყენებით.

მოხსენების მეორე ნაწილში განხილული იქნება ის ენები, რომლებზეც საუბრობენ დიდი, ტერიტორიულად კომპაქტური ეროვნული უმცირესობები, კერძოდ, აზერბაიჯანელები და სომხები. საჭიროა ამ ენების მხარდაჭერისთვის იმ რეგიონებში, სადაც ისინი ფართოდ გამოიყენება, კონკრეტული ზომების მიღება. პრობლემა ისაა, რომ საჭიროა მათი საზოგადო ცხოვრებაში გამოყენების ისეთი ხელშეწყობა, რომ ზიანი არ მიადგეს ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს ან ხელი არ შეეშალოს აზერბაიჯანული და სომხური უმცირესობების ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამისთვის საჭიროა განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება ენობრივი ქარტიის მესამე ნაწილის დებულებების გამოყენება ამ ენების მიმართ.

## II. საქართველოში მნიშვნელოვანი მრავალფეროვნების შენარჩუნება

ენობრივი ქარტიის ძირითადი კონცეპტუალური პრინციპი ალბათ არის “რეგიონალური ან უმცირესობათა ენების აღიარება კულტურული სიმდიდრის გამოხატულებად” (მუხლი 7.1). ამ პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეგიონალური ან უმცირესობის ენის დაკარგვა ქვეყნის კულტურული სიმდიდრისთვის დანაკარგია. აქედან გამომდინარე, ენობრივი მრავალფეროვნება განიხილება, როგორც ფასეულობა, რომელიც დაცვას საჭიროებს. მოხსენების ამ ნაწილის მიზანია საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების განხილვა, თავიდან იმის განსაზღვრებით, თუ რა რეგიონალური ან უმცირესობათა ენები არსებობს საქართველოში და შესაბამისად, ქარტიის ნაწილი II-ის გამოყენების მოცულობის განსაზღვრა; შემდეგ ამ ენების წინაშე არესებული საფრთხეების შესწავლა და ბოლოს, იმის განხილვა, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაწილი II ამ ენებთან მიმართებაში და რა მექანიზმები არსებობს მათი დაცვისა და განვითარებისთვის.

### 1. ნაწილი II-ის გამოყენების მოცულობა

უან-მარი ვურლინგის თანახმად, ენობრივი ქარტიის მეორე ნაწილი (ანუ მუხლი 7) გულისხმობს მის გამოყენებას ყველა რეგიონალურ ან უმცირესობათა ენის

მიმართ.<sup>2</sup> მაგრამ, ეს ვარაუდი, თავის მხრივ, იწვევს კითხვას, თუ რას წარმოადგენს რეგიონალური ან უმცირესობათა ენა. აქ საყურადღებო მუხლს წარმოადგენს მუხლი 1ა, რომელშიც ნათქვამია:

ამ ქარტის მიზნებისთვის:

- a. “რეგიონალური ან უმცირესობათა ენები” არის ის ენები, რომლებიც:
  - i. ტრადიციულად გამოიყენება სახელმწიფოს გარკვეულ ტერიტორიაზე მისი მოქალაქეების მიერ, რომლებიც შეადგენენ სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობაზე რიცხობრივად უფრო პატარა ჯგუფს; და
  - ii. განსხვავდება სახელმწიფოს ოფიციალურ ენის/ენებისგან;
- ამაში არ შედის სახელმწიფოს ოფიციალური ენის/ენების დიალექტები ან მიგრანტთა ენები.

ცხრილში 1 (იხ. ქვემოთ) მოცემულია საქართველოში არსებული და აღიარებული უკელა ენის ჩამონათვალი, მათ შორისაა ენები, რომლებიც უკელა მეტად აკმაყოფილებენ ენობრივი ქარტის მუხლში 1ა ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, და აგრეთვე ენები, რომლებიც არ შეესაბამება მათ ცხრამეტ ენას. სინამდვილეში შეესაბამება მუხლში 1-ში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს: აფხზური, აზერბაიჯანული, სომხური, რუსული, ოსური, კურმანჯი, უკრაინული, ჩეხნური, ურუმ თურქული, პონტური ბერძნული, ასირიული ნეო-არამაული, ბოკტანური ნეო-არამეული, ავარული და ბაცბური. მომდევნო ცხრა ენა – გერმანული, პოლონური, ბოშური, მოლდოვური, ესტონური, ლატვური, ლიტვური, ჩეხური და ბულგარული.

უდინური ენა შესძლოა ჩაითვალოს სასაზღვრო შემთხვევად. დინური, რომელზეც საუბრობენ საქართველოს უკარლის რაიონის სოფელ ოქტომბერში, მნიშვნელოვან დაცვას საჭიროებს და შესაბამისი ზომების გატარების გარეშე, შესაძლოა მკვდარ ენად იქცეს. სინამდვილეში, ამ ენაზე მხოლოდ სამ სოფელში საუბრობენ (ერთ - ქართულ ზემოთხესენებულ სოფელში და ორ - აზერბაიჯანში მდებარე სოფელში). თუმცა საქართველოში არსებული უდინური ენა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ტრადიციულ ენად, რადგან ეს ენა შემოტანილ იქნა მიგრანტების მიერ აზერბაიჯანიდან, რომლებიც გადმოსახლდნენ საქართველოში I მსოფლიო

<sup>2</sup> ჟან-მარი ვურლინგი, რეგიონალური და უმცირესობათა ენების უკრობული ქარტია: კრიტიკული კომუნიტარი (სტასბურგი: ევროსაბჭოს გამომცემლობა, 2005 წ.).

ომის შემდგომ, დაახლოებით 1920 წლისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების პრაქტიკის მიხედვით, მაგალითისათვის: მაკედონიური ენა სერბეთში და ჩეხური სლოვაკეთში, ენობრივი ქარტიის ექსპერტთა კომიტეტმა, I მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ გავრცელებული ენები, რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებად მიიჩნია. შესაბიმასად, უდინური ენა არ ექვემდებარე რეგიონალური ქარტიით დაცვას. დღევანდელობის გათვალისწინებით, იგი შეიძლება რამოდენიმე წელიწადში ქარტიის დაცვის ქვეშ მოექცეს.

დანარჩენი ოთხი ენა – ლატვიური, ჩეხური, ბოშური და მოლდოვური, სავარაუდოდ არ აკმაყოფილებს კრიტერიუმს, ვინაიდან წარმოადგენენ მიგრანტთა მიერ შედარებით ახლახანს გავრცელებულ ენებს, ანუ უმეტსწილად საბჭოთა პერიოდში. იდიშური, რომელზეც საუბრობს ებრაელთა მოსახლეობის მცირე ნაწილი საქართველოში, ასევე სულ ახლახანს იქნა წამოწეული წინა პლანზე, როგორც ებრაული პლორეგტარიატის ენა და აქედან გამომდინარე, ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს.

#### ცხრილი 1: რეგიონალური და უმცირესობათა ენები საქართველოში

ენა	ენობრივი ოჯახი	საუბრობენ	მოსახლეობის რიცხვი, რომელიც მშობლიურ ენად მიიჩნევს <sup>3</sup>	ადგილმდებარეობა
აზერბაიჯანული	აზერბაიჯანული ქვეჯგუფი, თურქული	აზერბაიჯანელები	283,632	მარნეულის, ბოლნისის, დმანისის რაიონები (მოსახლეობის 50%-ზე მეტი). აგრეთვე გარდაბნის, საგარეჯოს, ლაგოდების და თელავის რაიონები (10%-ზე მეტი).
სომხური	თრაკიული ქვეჯგუფი, ინდო- ეპროპული	სომხები	235,653	ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები (90%-ზე მეტი), წალკის

<sup>3</sup> მონაცემებში არ შედის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა, სადაც საქართველოს სახელმწიფოს ვერ ახორციელებს მმართველობას და სადაც არ არსებობს მოსახლეობის აღწერის უახლესი მონაცემები. წყაროები: (აზერბაიჯანული, სომხური, უკრანული და რუსული ენებისთვის) საქართველოს სტატისტიკის სახლმწიმო დეპარტამენტი, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული ხაფულებით დღიურის შედეგები (თბილისი: 2003 წ.); (სხვაბისთვის) მიახლოვებული მონაცემები, მიღებული ECMI-ის შეფასებებიდან 2006-2009 წლებისთვის.

				რაიონი (50%-ზე მეტი). აგრეთვე ახალციხის და ასპინძის რაიონები (10%-ზე მეტი). დიდი რიცხვია აგრეთვე თბილისში.
აფხაზური	ჩრდილო- დასავლურ კავკასიური	აფხაზები	დაახ. 3,500	აჭარა, თბილისი, რუსთავი
რუსული	სლავური ქვეჯგუფი, ინდო- ევროპული	რუსები, ზოგიერთი სხვა უმცირესობაც, განსაკუთრ., თბილისები სომხები და ოსები	83,007	უკალა მთავარი ქალაქის ცენტრი, განსაკუთრებით თბილისი; ზოგიერთი სოფლის რეგიონები, განსაკუთრებით კახეთსა და ნინოვის რაიონებში
ოსერი	ირანული ქვეჯგუფი, ინდო- ევროპული	ოსები	31,381	კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიულეთი
ქურმანჯი	ირანული ქვეჯგუფი, ინდო- ევროპული	ქურთები/იეზიდები	დაახ. 10,000	თბილისი, თელავი, სხვა ურბანული ტერიტორიები
უკრაინული	სლავური ქვეჯგუფი, ინდო- ევროპული	უკრაინელები	5,466	მთავარი ქალაქების ცენტრები, განსაკუთრებით ბათუმი
ჩეჩენური (ქისტური)	ნახური ქვეჯგუფი, კავკასიური	ქისტები	დაახ. 7,000	ახმეტის რაიონი, თბილისი
იდუში	გერმანული, ინდო-ევროპული	გერმანელები	<1000	თბილისი, გორი, ქუთაისი
გერმანული	გერმანული, ინდო-ევროპული	გერმანელები	<1000	თბილისი, რუსტავი, ბათუმი, ბოლნისი
პოლონური	დასავლურ სლავური, ინდო- ევროპული	პოლონელები	<1000	ძირითადად თბილისი, მაგრამ აგრეთვე ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ახალციხე
ბოშური	ინდო-ირანული, ინდო-ევროპული	ბოშები	დაახ. 1500	თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ქობულეთი
ურუმ თურქული	თურქული	ბერძნები	დაახ. 1500	წალკის, თეთრიწყაროს რაიონები
პონტიური ბერძნული	ინდო-ევროპული	ბერძნები	დაახ. 1000	იზოლირებული თემები
სირიული ნეოარამაჟული	სემიტური	ასირიელები (წარმოშობით ძირითადად ირანიდან)	დაახ. 2000	თბილისი, სოფელი კანდა (მცხეთის რაიონი), დასავლური საქართველო
ბოკტანური ნეოარამეჟული	სემიტური	ასირიელები (წარმოშობით ძირითადად თურქეთიდან)	დაახ. 1000	გარდაბანი, თბილისი
ავარული	დაღესტანური, ჩრდილო- აღმოსავლური	გარები	<2,000	ყვარლის რაიონი

	კაგებასიური			
ბაცბური	ნახური, ჩრდილო-აღმოსავლური კაგებასიური	წოვა-თუშები	<1,000	ახმეტის რაიონი
უდინური	ლეპური, ჩრდილო-აღმოსავლური კაგებასიური	დინები	<500	ყვარლის რაიონი
მოლდოვური	რომაულ-გერმანული, ინდო-ევროპული	ოლდოველები	<1000	თბილისი
ესტონური	ბალტო-ფინური, ურალური	ქსტონელები	<100	ურბანული ტერიტორიები
ლატვიური	ბალტური, ინდო-ევროპული	ლატვიელები	<100	ურბანული ტერიტორიები
იტვერი	ბალტური, ინდო-ევროპული	ლიტველები	<100	ურბანული ტერიტორიები
ჩეხური	დასავლურ-სლავური, ინდო-ევროპული	ჩეხები	<50	ურბანული ტერიტორიები
ბულგარული	სამხრეთ-სლავური, ინდო-ევროპული	ბულგარელები	<150	ურბანული ტერიტორიები
ლეკური	ლეპური, ჩრდილო-აღმოსავლური კაგებასიური	ლეკები	<50	ურბანული ტერიტორიები
მეგრული	ქართველური, სამხრეთ კაგებასიური	ქართველები	დაახ. 400,000	სამეგრელოს რეგიონი, თბილისი
სვანური	ქართველური, სამხრეთ კაგებასიური	ქართველები	დაახ. 30000	მესტიის, ლენტეხის რაიონები, ქვემო ქართლი
ლაზური	ქართველური, სამხრეთ კაგებასიური	ქართველები	<1000	სარფი, კვარიათი, გონიო (აჭარა)

და ბოლოს, გვაქვს სამი ბოლომდე დაუზუსტებელი შემთხვევა, სადაც გაურკვევლობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რასთან გვაქვს საქმე - ენასთან თუ უბრალოდ ქართული ენის დიალექტთან. ესენია მეგრული, სვანური და ლაზური. ეს ენები/დიალექტები, ქართულის მსგავსად, მიეკუთვნებიან ენების ოგივე (ქართველურ) ქვეჯგუფს, მაგრამ საკმარისად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმისათვის, რომ ერთმანეთისთვის გასაგები იყვნენ. ამ ენებზე მოსაუბრე ადამიანები საკუთარ თავს ქართველებად თვლიან და ფაქტობრივად, ყველა მათგანი თავისუფლად ფლობს ქართულს. ამ ენობრივი ჯგუფებიდან მნიშვნელოვნად უფრო დიდი ჯგუფი - მეგრელებია, რომლებიც დასახლებულნი არიან დასავლეთში სამეგრელოს მხარესა და აფხაზეთის გალის რაიონში; საქართველოში

დაახლოებით 40,0000-დან 50,0000-მდე მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი ცხოვრობს, რაც შეადგენს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს<sup>4</sup>. ლაზური ენა გასაგებია იმათვის, ვინც საუბრობს მეგრულად და პირიქით. ლაზური ენის მფლობელების უმრავლესობა ცხოვრობს დღევანდელ თურქეთში (სადაც ეს ენა ცნობილია, როგორც ლაზურიული), თუმცა ქართულ სასაზღვრო სოფელ სარფში, და აგრეთვე, ახლომდებარე კვარიათის და გონიოს სოფლებში ცხოვრობს ლაზურად მოლაპარაკე რამოდენიმე ასეული ადამიანი. სვანურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა კონცენტრირებულია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, სვანეთის მთიან რეგიონში, სადაც 20,000-ზე მეტი მაცხოვებელი ცხოვრობს.

მეგრული, სვანური და ლაზური ენები ძირითადად სასაუბრო ენებია, თუმცა რამოდენიმე ფოლკლორული ტექსტი, როგორიცაა, მაგალითად, შოთა რუსთაველის ეპიკური პოემა “ვეფხისტყაოსანი”, გადაითარგმნა მეგრულ ენაზე ქართული ანბანის გამოყენებით. ქართველ ენათმეცნიერთა შორის არსებობს ტენდენცია, განიხილონ ეს ენები, როგორც დიალექტები და არა ცალკე ენები. მეგრული, სვანური და ლაზური ენების აღიარებაზე უარის თქმას აქვს ძლიერი პოლიტიკური მოტივი, რომელიც ეფუძნება იმ აზრს, რომ ასეთი ნაბიჯი საფრთხეს უქმნის ქართველების, როგორც მთლიანი ერის, ერთიანობას. აქ განსხვავება დიალექტსა და ენას შორის გადამწყვეტია, ვინაიდან ენები ექვემდებარებიან დაცვას ენობრივი და რეგიონალური ევროპული ქარტიის მეორე ნაწილის მიხედვით, მაშინ როცა სახელმწიფო ენის/ენების დიალექტები ამას არ ექვემდებარებიან.

ამ საკითხის პოლიტიკური მგრძნობიარობის ახსნა შეიძლება ქართველების უმეტესობის გონებაში არსებული ასოციაციით “ერსა” და “ენას” შორის, და აგრეთვე იმით, თუ როგორ ექცეოდნენ მეგრულ იდენტურობას უახლოეს ისტორიაში. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, მეგრული იყო

<sup>4</sup> იხ. დორქეს ბროერსი, “ვინ არიან მეგრელები? ენა, იდენტურობა და პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში” (მოხსენება ერთა შესწავლების ასოციაციის მეექვენი წლიური კონვენციისთვის, 2001 წ.).

<http://www.bonetweb.com/caucasus/KV/OECAUC/mingrelians.pdf>

ადგილობრივი ენა, რომელზეც საუბრობდა სამეგრელოს და ნაწილობრივ დღეგანდელი აფხაზეთის თითქმის მთელი მოსახლეობა. მხოლოდ სასულიერო ელიტის მცირერიცხვანი კასტა ამ რეგიონებში იყენებდა ქართულს, როგორც ლიტერატურულ ენას. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსმა ეთნოგრაფებმა დაიწყეს მეგრელების ცალკე ეთნიკურ ჯგუფად კლასიფიკაცია, დანარჩენ ქართულ საზოგადოებასთან არსებული ენობრივი განსხვავებების საფუძველზე, რამაც ძლიერი პროტესტი გამოიწვია ქართულ ინტელიგენციაში. ეს კამათი გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დაარსების შემდეგაც. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერაში, რომელიც ჩატარდა 1926 წელს, მეგრელები, სვანები, ლაზები და აჭარლები იყვნენ კლასიფიცირებული, როგორც ცალკე ეროვნებები (народности), განსხვავებული ქართველებისგან. ამავე დროს (რაც გრძელდებოდა 1930-იან წლები) გამოდიოდა პრესა მეგრულ ენაზე, ადგილობრივ მოსახლეობაში კომუნისტური პარტიის იდეოლოგის გავრცელების მიზნით. თუმცა, 1939 წელს მოსახლეობის ხელახლი აღწერისას მეგრელების კლასიფიკაცია მოხდა ისევე, როგორც ქართველებისა, და მეგრული პრესა გაუქმდა.<sup>5</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მეგრელების ცალკე ეროვნებად კვალიფიკაციის მცდელობაზე უარი ითქვა, ქართულ ინტელიგენციაში დარჩა შთაბეჭდილება, რომ მოსკოვი აწყობს შეთქმულებას ქართველი ერის “გაყოფასა და ბატონობაზე”. მეგრული საკითხის ირგვლივ არსებული პოლემიკა კვლავ წამოიჭრა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. აფხაზეთში ომის შემდეგ, რომლის შედეგად აფხაზეთმა მოიპოვა დე-ფაქტო დამოუკიდებლობა თბილისისგან და მოხდა დაახლოებით 250 ათასი ქართველის განდეგნა, აფხაზური მხარე შეეცადა მეგრული ენის პოპულარიზაციას და გალის რაიონში რუსულ-აფხაზურ-მეგრულ გაზეთის გამოქვეყნებაც კი სცადა.<sup>6</sup> ამ მოქმედების ნათელი მიზანი იყო გალის რაიონში რამოდენიმე დარჩენილი ქართული ოჯახის დარწმუნება იმაში, რომ საკუთარი თავი ჩაეთვალათ მეგრელებად და არა ქართველებად. ქართულმა მხარემ მიიღო ეს ფაქტი, როგორც მტრობის აქტი.

<sup>5</sup> ბროერსი “ვინ არიან მეგრელები?”

<sup>6</sup> იქვე.

ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ ნებისმიერი საუბარი საქართველოში მეგრული, სვანური ან ლაზური ენებისთვის ხელისშემწყობი მექანიზმების შემოტანაზე ქართული მოხელეების და ინტელიგენციის მხირდან ეჭვით ან სულაც მტრულად მიიღება. მაგალითად, ლორენს ბროერს ხაზს უსვამს 1999 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი მურმან ლებანიძის ლექსის ნაწყვეტის თარგმანს:

„ვით დედა- მტკვართან ჭოროხს და ენგურს,  
რიონს და ტეხურს, იორს და არაგვს,  
აგრეთვე- ენას, ქართულთან მეგრულს,  
ხმა ამოილოს უფლება არ აქვს“.<sup>7</sup>

ამიტომ ისმის ძირითადი საკითხი - არის თუ არა საჭირო მეგრული, სვანური და ლაზური ენების რეგიონალურ ენებად ჩათვლა და ამის შედეგად მათთვის დაცვის უზრუნველყოფა რეგიონალური და ენობრივი უკროპული ქარტიის თანახმად. ფორმალურად, „რეგიონალური ენა“ არ არის ცალკე ტერმინი ქარტიის ფარგლებში; არ შეიძლება მისი განცალკევება „რეგიონალური ან უმცირესობათა ენების“ ერთგვარი „განუყოფელი“ ტერმინისგან. კერძოდ, „რეგიონალური ენა“ არ ნიშნავს „დიალექტურ ნახევრად-ენას“. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სახელმწიფო, როგორიცაა გერმანია, ნიდერლანდები და პოლონეთი (იხ. ქვემოთ), მას ზუსტად ამგვარად განიხილავენ და მიაჩნიათ, რომ საჭიროა იმ ენების დაცვა, რომელთა მფლობელები არ მიაკუთვნებენ საკუთარ თავს ეროვნულ უმცირესობას.

პრობლემა ისაა, რომ ძალიან ხშირად საკითხი, არის თუ არა კონკრეტული ენა დამოუკიდებელი თუ დიალექტი, არის პოლიტიკური. შესაძლებელია ენების განხილვა, როგორც დიალექტების, მათი ოფიციალური აღიარების გარკვეული ფორმით, ან – მაქს ვაინრაიხის ცნობილი ფორმულირებით – „დიალექტებად ჯარის თანხლებით“. რა თქმა უნდა, არსებობს რამდენიმე ობიექტური კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ენა განირჩევა დიალექტისაგან, კერძოდ, ესაა მსგავსობის

<sup>7</sup> იქვე. აღსანიშნავია, რომ მდინარე მტკვარი მიედინება თბილისში, სხვები კი საქართველოს სხვა რეგიონებში.

დონე და ის, თუ რამდენად “დიალექტი” და ის “მშობელი ენა”, რომლის ნაწილიც პირველი შეიძლება იყოს, გასაგებია ერთმანეთისთვის. ამის მიუხედავად, არსებობს ბევრი მაგალითი, როდესაც ადგილობრივი ენა უკვე საკმაოდ დაშორებულია “მშობელი ენისგან”, მაგრამ მაინც ითვლება დიალექტად (აյ შეიძლება გავიხსენოთ იტალიური “დიალექტების” მაგალითი, როგორიცაა ნაპოლიტანი). ამიტომ, ხშირად დიალექტი ითვლება ენად, თუ იგი იბეჭდება და ითვლება არა უბრალოდ ადგილობრივ ენად, არამედ ლიტერატურულ ენად, ან თუ ენა რამდენადმე მაინც სარგებლობს პრესტიჟით.

რეგიონალური და უმცირესობათა ევროპული ქარტია, ამ მხრივ საკმაოდ ბუნდოვანია, თუმცა შეიცავს რეგიონალური ენის და დიალექტის ერთმანეთისგან გარჩევის რამოდენიმე მითითებას. ჟან-მარი გურლინგის ენობრივ ქარტიაზე „კრიტიკული კომენტარის“ თანახმად:

დიალექტები, როგორც მოცემული ენის ვარიანტები. ასეთი ვარიაციები ერთი ენის ფარგლებში შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად აშკარა, რაც დამოკიდებულია ისტორიულ, გეოგრაფიულ ან სოციალურ ასპექტზე. ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფატქორი არის კონკრეტულ ენაზე მოლაპარაკე პირთა სუბიექტური დარწმუნებულობა, რომ ისინი ლაპარაკობენ ერთიდაიგივე ენაზე, ეს დაჯერებულობა ხშირად განისაზღვრება პოლიტიკური კონტექსტით.<sup>8</sup>

ქვეყნებმა, რომლებიც ხელი მოაწერეს რეგიონალური და უმცირესობათა ევროპული ქარტია-ს, გამოიყენეს ქარტია იმ ადგილობრივი ენების დასაცავად, რომლებიც არიან რეგიონალური ენის და დიალექტის საზღვარზე. მაგალითად, ნიდერლანდებში გადაწყვიტეს ქარტიის ნაწილის II გამოყენება ლიმბურგის რეგიონალური ენის დასაცავად (ლიმბურგიული), რომელიც ხშირად განისაზღვრება, როგორც პოლანდიურის დიალექტი. ამის მსგავსად, გერმანიაში გამოიყენა ქარტიის ნაწილები II და III ქვედა გერმანულთან მიმართებაში (*Niederdeutsch* ან *Plattdeutsch*), რომელიც აგრეთვე ხშირად განისაზღვრება, როგორც ადგილობრივი ენა. ამის მიუხედავად, ქარტიის მუხლის 15 თანახმად, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის წარდგენილ პირველად პერიოდულ ანგარიშში

<sup>8</sup> კურლინგი, რეგიონალური და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია: კრიტიკული კომენტარი, გვ. 63

გერმანიის მთავრობამ გამოიყენა ქვედა გერმანულის 16-ე საუკუნამდე არსებული წერითი ენის სტატუსი, მისი ჩართვის გამართლებისთვის.<sup>9</sup> სხვა გერმანული დიალექტები, როგორიცაა, მაგალითად, ბავარიული, არ იყო ჩართული.

რაც შეეხება მეგრულს, სვანურსა და ლაზურ ენებს, მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობითაც მნელია იმის დამტკიცება, რომ ისინი მხოლოდ ქართული ენის დიალექტები არიან, ვინაიდან ისინი არ არიან გასაგები ქართული ენის მცოდნებისთვის. ამის მიუხედავად, ის ფაქტი, რომ მათ არ გააჩნიათ დამწერლობა და შედარებით დაბალი პრესტიჟი აქვთ, ამცირებს სუბიექტურ და პოლიტიკური ასპექტებს მათი რეგიონალურ ენებად აღიარების წინააღმდეგ. ძირითადად, ევროპის საბჭოს ევროპაში რეგიონალურ ან უმცირესობების ენების ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც ახორციელებს ქარტიის შესრულების მონიტორინგს, აძლევს საშუალებას სახელმწიფოებსა და მათ მოსახლეობას დადგინონ განსხვავება რეგიონალური ან უმცირესობათა ენებსა და დიალექტებს შორის. ერთ-ერთი კრიტერიუმი იმ ფაქტის განსაზღვრისთვის, არის თუ არა “დიალექტი” რეგიონალური ან უმცირესობათა ენა, არის ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების მისი აღქმა ცალკე ენად (ი.e. ვურლინგის ციტატა ზემოთ). მეორეს მხრივ, დაბალი პრესტიჟის პრობლემა არ უნდა გამოყენებულ იქნას არგუმენტად იმისათვის, რომ არ იქნას დაცული რეგიონალური ან უმცირესობათა ენა, ვინაიდან რეგიონალური ან უმცირესობათა ენა ტრადიციულად ნაკლები პრესტიჟით სარგებლობს, ვიდრე სტანდარტიზირებული ენები ევროპის ბევრ ნაწილში. ამ მოხსენების მიზანი არ გახლავთ ქართული მთავრობისთვის იმის მითითება, ჩაითვალოს თუ არა მეგრული, სვანური და ლაზური ენა რეგიონალურ ენებად. მაგრამ, მოგვიანებით მე შემოგთავაზებო რამოდენიმე წინადაღებას, როგორ შეიძლება ამ ენების დაცვა, იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გადაწყვეტს, აღიაროს ისინი.

<sup>9</sup> ევროსაბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი პერიოდული ანგარიში ქარტიის მე-15 პუნქტის შესაბამისად: გერმანია (Council of Europe, MIN-LANG/PR 2000 (1), Strasbourg 20 November 2000) [www.coe.int](http://www.coe.int)

## 2. დაცვის საჭიროება

ჩამოთვლილი ენებიდან განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ ის ენები, რომლებიც ნაკლებად გამოიყენება. საქართველოში მცირე რიცხოვან ენობრივ თემებს არ გააჩნიათ სერიოზული მექანიზმები საკუთარი ენის დაცვის და განვითარების უზრუნველყოფისთვის. საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემა აძლევდა განსაკუთრებულ პრივილეგიებს გარკვეულ ენებს, კერძოდ კი იმ ენებს, რომლებზეც საუბრობდა ადმინისტრატიულ-ტერიტორიული ერთეულის ეროვნება (რესპუბლიკა, ავტონომიური რესპუბლიკა და ავტონომიური რეგიონი), უფრო მცირერიცხოვან ენობრივ თემებს კი მოუწოდებდნენ ესაუბრათ ან რუსულად, ან იმ რესპუბლიკის ტიტულარული ეროვნების ენაზე, რომელშიც ცხოვრობდნენ. ასე მაგალითად, საქართველოში რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ სკოლებში მიმდინარეობდა სწავლა შესაბამის ენებზე; იეზიდები, ბერძნები, ასირიელები და უდინები დადიოდნენ რუსულ ან ქართულ სკოლებში და მათ მოუწოდებდნენ ელაპარაკათ უფრო ფართოდ გავრცელებულ ენებზე. მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა 1991 წელს, ის მცირე საშუალებები, რომლებიც არსებობდა მცირერიცხოვანი უმცირესობების ენის და კულტურის დასაცავად, ამოიწურა დაფინანსების არარსებობის გამო. დღეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების გარეთ არსებობს მხოლოდ რუსული, აზერბაიჯანული და სომხური სკოლები. სხვა რეგიონალური და უმცირესობათა ენების შენარჩუნებასა და განვითარებაზე მიმართული ქმედებები ხორციელდება მხოლოდ კერძო ასოციაციების და ფონდების მიერ (ხშირად მათ არ აქვთ საკმარისი დაფინანსება).

დღეს საქართველოში ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არიან ის ენები, ა) რომლებზეც ლაპარაკობს მოსახლეობის ყველაზე მცირე რაოდენობა; ბ) არ აქვთ სახელმწიფო საქართველოს ფარგლების გარეთ, სადაც ეს ენა არის ოფიციალური სახელმწიფო ენა. ალბათ, ყველაზე დიდი საფრთხე ემუქრება ბაცბურ და უდინურ ენებს. ბაცბურ ენაზე ლაპარაკობენ წოვა-თუშები ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში, აღმოსავლეთ საქართველოში. ეს ენა მიეკუთვნება კავკასიური ენების ნახურ ჯგუფს, რომელშიც აგრეთვე შედის ჩეჩენური და ინგუშური ენები (იხ.

ცხრილი 1). იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ წოვა-თუშების უმეტესობა თავს ქართველებად თვლის, თვით თემშიც არსებობდა წინააღმდეგობა ბაცბური ენის დაცვის მიმართ, იმის შიშით, რომ ჯგუფს ჩათვლიან არაქართველებად. მშობლებს არ სურდად ბაგშვებისთვის ესწავლებინად ბაცბური ენა, და დღეს მხოლოდ უფროსი თაობა იყენებს ამ ენას ერთმანეთთან საუბრისას.<sup>10</sup> არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე, რომ შემდეგი თაობა აღარ ილაპარაკებს ამ ენაზე.

აგრეთვე გაქრობა ემუქრება უდინურ ენას, რომელიც არის კავკასიური ალბანურის თანამედროვე შთამომავალი – ენის, რომელსაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდა. საქართველოში ერთადერთი სოფელი, სადაც ცხოვრობენ უდინები – სოფელი ოქტომბერი ყვარლის რაიონში არის ერთ-ერთი, მსოფლიოში არსებული სამი სოფლიდან, სადაც ლაპარაკობენ უდინურ ენაზე (დანარჩენი ორი არის სოფლები ნიკ და ოლუზ აზერბაიჯანში). უდინურ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობას ასევე ემუქრება ქართულენოვან მოსახლეობასთან ასიმილაცია, რაც საკუთარი ენის დავიწყებას ნიშნავს.

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ ემუქრებათ განადგურების საფრთხე, არსებობს სხვა მცირერიცხვანი ლინგვისტური ჯგუფებიც, რომლებიც ასევე შეიძლება ასიმილირდნენ ან ამ ენებზე მოლაპარაკე პირთა რიცხვმა შეუქცევადად შემცირდეს დროთა განმავლობაში. მაგალითისთვის ასირიული თემი გამოდგება. მისი დაახლოებით მეოთხედი კონცენტრირებულია მცხეთა-მთიანეთის პატარა სოფელ ქანდაში.; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვინაიდან არ არსებობს ასირიულ ენაზე სასწავლო დაწესებულება, ბაგშვები დადიან ქართულ სკოლაში, მეზობელ ქართველებთან ერთად. შედეგად ახალგაზრდები ივიწყებენ ასირიული ენას. მაშინ, როცა უფრო დიდ თემში არსებული ასირიელების უმრავლესობა ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე, მხოლოდ უმცირესობას შეუძლია წერა საკუთარი ანბანით. ასირიული ენა და დამწერლობა არ ისწავლება სკოლებში, იგი მხოლოდ თაობიდან თაობაზე ზეპირად გადადის; და რასაკვირველია, გარანტია იმისა, რომ ენა ამ გზით შენარჩუნდება, არ არსებობს.

<sup>10</sup> წყარო: ტომ ტრიერის მიერ ჩატარებული საველე სამუშაოები, 2006 წლის ივლისი.

ერთი შეხედვით, მეგრულს და სვანურს არ ემუქრება დავიწყების საფრთხე, ვინაიდან საკმაო რაოდენობის ადამიანები იყენებენ მათ. მაგრამ ლაზურად მოლაპარაკე თემი საქართველოში ძალის მცირერიცხოვანია და საჭიროებს დაცვას. მეგრული და სვანურის მცოდნე და მათზე მოლაპარაკე ადამიანების რიცხვმაც შეიძლება დროა განმავლობაში სწრაფად დაიკლოს, თუ მაგალითად, იმ რეგიონებს, სადაც ამ ენებზე დღეს აქტიურად ლაპარაკობენ, გლობალური ცვლილებები შეეხო. ამდენად, რისკი არსებობს, ვინაიდან ეს ენები არ წარმოადგენენ ინსტიტუციური დაცვის საგანს და მეორეც, იმიტომ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მათ განიხილავს, როგორც “მეორეხარისხოვან”, “სოფლურ” ენებს, რომელთა მიმართ პატივისცემა ნაკლებია. ვინაიდან მოსახლეობა ტოვებს სვანეთის და სამეგრელოს სოფლებს სამუშაოს ძებნის მიზნით, მშობლებმა შეიძლება მომავალში ალარ გაამახვილონ ყურადღება მათი შვილების მიერ მშობლიური ენის ცოდნაზე, ჩათვლიან რა მას დაბრკოლებადაც კი განვითარებისთვის. ქვეომოთ აღწერილია ამგვარი ენების დაცვის და მათთვამი პრესტიუს ასამაღლებლად შემუშავებული მექანიზმები.

### **3. დაცვა რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის II ნაწილის შესაბამისად**

რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის II ნაწილი წარმოადგენს დაცვის მექანიზმს ენებისა, რომლებიც გაქრობის საფრთხის წინაშე დგანან. ამ ნაწილში მოცემულია ზოგადი ამოცანები და პრინციპები, რომლებიც ქარტიის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული ენების დაცვის მიზნით. ნაწილი II-ში მოცემული ზოგადი პრინციპი ემყარება იმ თეზისს, რომ რეგიონალური ან უმცირესობათა ენები წარმოადგენს კულტურული სიმდიდრის გამოხატულებას (მუხლი 7.1ა, იხ. ზემოთ) და ამ ფაქტის გათვალისწინებით, გულისხმობს მტკიცე ზომების გატარებას მათი დაცვის და განვითარების მიზნით (მუხლი 7.1გ). ამდენად, ნაწილი II გულისხმობს არა მხოლოდ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებას (მუხლი 7.3), არამედ საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში მათ აქტიურ წახალისებას (მუხლი 7.1 დ).

ამ პრინციპებზე დაყრდნობით ნაწილში II (მუხლი 7) მოცემულია ამ მიმართულებით გასატარებელი კონკრეტული ნაბიჯები: 1) უზრუნველყოფა იმისა, რომ ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა არ აბრკოლებს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ხელშეწყობას (მუხლი 7.1ბ); 2) ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ ერთიდაიმავე ლინგვისტური ჯგუფების წარმომადგენელთა და ასევე, სხვადასხვა ლინგვისტური ჯგუფების წარმომადგენელთა შორის კავშირების შენარჩუნების და განვითარების ხელშეწყობა (მუხლი 7.1ე); 3) რეგიონალური და უმცირესობათა ენების სწავლების და შესწავლის ხელშეწყობა (მუხლი 7.1ვ) და ამ შესაძლებლობის მიცემა იმ მოქალაქეთათვის, ვისთვისაც რეგიონალური ან უმცირესობათა ენები არ წარმოადგენს მშობლიურს, მაგრამ აქვთ სურვილი ამ ენების შესწავლისა (მუხლი 7.1გ); 4) უნივერსიტეტებსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე სწავლის და სამეცნიერო კვლევების წარმოების ხელშეწყობა (მუხლი 7.1თ); 5) ტრანსნაციონალური გაცვლითი პროგრამების განხორციელება იმ ქვეყნებთან, რომლებშიც ლაპარაკობენ იმავე რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე (მუხლი 7.1ი); 6) რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე საუბრის შეზღუდვების ფაქტების აღმოფხვრა (მუხლი 7.2); და 7) უზრუნველყოფა იმისა, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოსაუბრე ჯგუფის საჭიროებებს და სურვილებს ჯეროვანი ყურადღება ექცევა, საუკეთესო შემთხვევაში კი, არსებობს ამ ჯგუფების ინტერესთა დამცველი შესაბამისი სტრუქტურები.

საქართველოსთან მიმართებაში მნიშვნელოვანია იმ როლის ფსიქოლიგიური კონცეპტუალიზაცია, რომელსაც რეგიონალური ან უმცირესობათა ენები ასრულებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მიხედვით სააკაშვილის თაოსნობით ქვეყნის სათავეში მოსულ ახალ ხელისუფლებას გაუმნელდა “სამოქალაქო ინტეგრაციად” წოდებული საჭიროების გამოკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე ნათლად არ არის გამოკვეთილი, თუ რას გულისხმობს ლიდერთა ახალი თაობა ამ ტერმინში, სახეზეა ორი ძირითადი ტენდენცია. პირველი გულისხმობს “დემოსის” კონსოლიდაციას, რომელიც ეფუძნება საერთო დირექტულებებს და ქართული ენის საერთო ცოდნას; მეორე კი მდგომარეობს

ქართველის, როგორც ეთნიკურად ექსპლუზიური ცნების შეცვლაში ახალი ყოვლისმომცველი კონცეფციით, რაც თავის თავში ყველა ეროვნების მოქალაქეს აერთიანებს.

რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის მუხლი 7, რომელიც რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს კულტურული სიმდიდრის გამოხატულებად აღიარებს (მუხლი 7.1ა), ხელს უწყობს “კულტურული კავშირების განვითარებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე და სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის” (7.1ე), შესაძლებლობას უქმნის მოქალაქეებს, რომელთათვისაც რეგიონალური ან უმცირესობათა ენები არ წარმოადგენს მშობლიურს, მაგრამ სურვილი აქვთ ამ ენების სწავლისა, შეისწავლონ ისინი (7.1გ) და ხელს უწყობს უნივერსიტეტებსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე სწავლას და სამეცნიერო კვლევების წარმოებას – ყოველივე ეს წარმოადგენს სამოქალაქო ინტეგრაციის შემაღენებლ კომპონენტებს. მუხლი 7-ის განხორციელება საშუალებას მისცემს ყველა მოქალაქეს, ჩამოყალიბდნენ მრავალენოვან საზოგადოებად, რომლის წევრობა განისაზღვრება სამოქალაქო და არა ეთნიკური კრიტერიუმით.

მუხლი 7-ში მოცემული უფრო კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც გულისხმობს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების აქტიური გამოყენების ხელშეწყობას, წარმოადგენს სასარგებლო მექანიზმს გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ენების დაცვის თვალსაზრისით. საკითხის დაყენება იმგვარად, რომ არაქართული ენები სკოლებსა და უნივერსიტეტებში არა მხოლოდ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ ისწავლებოდეს (იხ. მუხლი 7.1გ) მოემსახურება ორმაგ მიზანს. პირველი: დაიცავდა შედარებით მცირერიცხოვანი დინგვისტური ჯგუფების ენებს, იმის უზრუნველყოფით, რომ აღნიშნულ ენებზე მოლაპარაკე მოქალაქეთა შვილები განათლებას მშობლიურ ენაზე მიიღებენ. მეორე მხრივ, და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ქართველებისთვის არაქართული ენების შესწავლის იდეის პროპაგანდის გზით ამაღლდება საზოგადოებრვი ცნობიერება იმ საკითხში, რომ ეს ენები არა გარეშე და უცხოა, არამედ გარკვეულწილად

საქართველოს ეკუთვნის და ამდენად, მისი მემკვიდრეობის ნაწილია. ამ მოსაზრების განმტკიცების ერთ-ერთი გზა იქნებოდა სასკოლო პროგრამაში საგნის - “საქართველოს ენების შესწავლა” შეტანა, რაც საშუალებას მისცემდა ქართული სკოლის ყველა მოსწავლეს, შეესწავლა სულ მცირე ერთი რეგიონალური ან უმცირესობათა ენა (ცხრილში 1 ჩამოთვლილთაგან). ეს მიდგომა გამოდგებოდა აგრეთვე დაცვის მექანიზმად შედარებით მცირერიცხოვანი ლინგვისტური ჯგუფების ენებისა; მსგავსი მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტებშიც.

ეს მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნას მეგრულ, სვანურ და ლაზურ ენებთან მიმართებაში. ქართული ენის სწავლების მოდულში შეიძლება შეტანილ იქნას ქართული (საქართველოს) ენების სწავლება (საქართველოში არსებული ენების ნაცვლად, იხ. ზემოთ); ადგილობრივი რეგიონალური ენების შეტანა ქართულ ლინგვისტიკაში გააღრმავებდა ზოგადად “ქართულის” კონცეფტს მისი მრავალმხრივი არსით და გაანეიტრალიზებდა არსებულ შიშს იმასთან დაკავშირებით, რომ მაგ. მეგრულის ან სხვა ადგილობრივი ენების შესწავლა საფრთხეს შეუქმნის ქართულენოვანი საზოგადოების ერთიანობას. ამგვარი ინიციატივა შეესაბამება ქარტიის პრეამბულაში მოცემულ ორ ძირითად პრინციპს: რეგიონალური ან უმცირესობათა ენების დაცვამ და წახალისებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ოფიციალურ ენებსა და მათი შესწავლის აუცილებლობას; და აღნიშნული ენების დაცვა მნიშვნელოვანი შენატანია არსებული მრავალფეროვნების განსამტკიცებლად ეროვნული დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში.

მუხლი 7 შეიცავს აგრეთვე გარკვეულ ნაბიჯებს, რომელთა განხორციელება შეიძლება რთული აღმოჩნდეს საქართველოს ხელისუფლებისთვის. უპირველეს ყოვლისა, მუხლი 7.1o ტრანსნაციონალური თანამშრომლობის შესახებ წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, ვინაიდან შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას, როგორც სეპარატიზმის საფრთხის შემცველი მიმართულება. კერძოდ, ეს შიში უკავშირდება სამცხე-ჯავახეთის სომხურ და ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ მოსახლეობას. სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით რეალური პროგრესის

არარსებობის გამო ეს თემები თავიანთი პულტურული კავშირებით უფრო მეტად ინტეგრირებულნი არიან მონათესავე ქვეყნების მოსახლეობასთან და შიში ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ამ მონათესავე ჯგუფების საზღვრებსშორისი თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობით ქვეყნის შიგნით ინტეგრაციას შეიძლება საფრთხე დაემუქროს. მიუხედავად ამისა, მუხლში 7.1 მოცემული მოსაზრების ფორმულირებამ, რომელიც მოუწოდებს “შესაბამისი ტრანსნაციონალური გაცვლების ხელშეწყობისკენ” (საზღასმა ჩემია), შეიძლება გარკვეული ბერკეტი მისცეს ქარტის მონაწილე ქვეყანას საკუთარ ქმედებებში ამ საკითხთან მიმართებაში. და ბოლოს, თუ გავაანალიზებთ სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის საზღვართაშორის გაცვლებთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებს, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მაგალითად, შედარებით მცირერიცხოვანი ლინგვისტური ჯგუფების წარმომადგენელთა კონტაქტები მონათესავე ფართო დიასპორებთან ძალზე სასარგებლოა, რადგან საშუალებას იძლევა უკეთ იქნას შესწავლილი უმცირესობათა ენები და დამწერლობები და გადრმავდეს მათი კვლევა.

### **III. ენობრივი უფლებები და სამოქალაქო ინტეგრაცია**

განვიხილოთ მეორე ძირითადი გამოწვევა, რომელიც საქართველომ უნდა გადაჭრას ქარტის დანერგვის გზაზე: როგორ მოხდეს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების განვითარების ხელშეწყობა იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას ან ეროვნულ უმცირესობათა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას ქართული ენის (სხვა ენების სარჯზე) სწავლების აუცილებლობის თითქოსდა ერთგვარი შერბილების გამო. აქ იგულისხმება კომპაქტურად დასახლებული უმცირესობები, რომლებმაც ძირითადად არ იციან ქართული – როგორიცაა ახალქალაქისა და ნინოწმინდის სომხური მოსახლეობა (ჯავახეთი), ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოსური მოსახლეობა. წინამდებარე ნაშრომში მე არ განვიხილავ სამხრეთ ოსეთში ქარტის შესაძლო განხორციელების პერსპექტივას ან ოსური ენის დაცვასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ნაბიჯებს. განხორციელდება თუ არა საერთოდ ეს ქარტია სამხრეთ

ოსეთში და კონკრეტულად როგორ განხორციელდება იგი – ეს მთლიანად დამოკიდებულია არსებული გრძელვადიანი კონფლიქტის საბოლოო მოგვარებაზე.

წინა ნაწილში აღწერილი ქარტიის II ნაწილის მიღება გარკვეულწილად თავისთავად გადაჭრიდა ქართულ საზოგადოებაში ეროვნული უმცირესობების ინტეგრირების ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანებს, დაიცავდა და განავითარებდა რა ამავდროულად უმცირესობათა ენებს. მაგალითად, მუხლში 7.1.ე მოცემული მოწოდების “კულტურული კავშირების დამყარება ქვეყანაში მცხოვრებ, სხვა ენებზე მოსაუბრე ჯგუფებთან” ხელშეწყობისკენ მიმართული ნაბიჯები უფრო მეტად მოაახლოვებდა, და არა დააბრკოლებდა ეროვნულ ინტეგრაციას. ასევე, აზერბაიჯანული და სომხური ენების სწავლების იდეის პროპაგანდა არა მარტო უმცირესობათა შორის, არამედ ეთნიკურ ქართველებში ეფუძნება იმ პრინციპს, რომ ეს ენები საქართველოს ლინგვისტური მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილია. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობდა საქართველოში მცხოვრებ არათანაბარ პირობებში მყოფი თემების უფრო მეტად გაერთიანებას, ვიდრე დაშორებას. მიუხედავად იმისა, რომ მუხლით 7.1.გ განსაზღვრული მოთხოვნა “რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესაბამის ეტაპებზე შესწავლის და სწავლების სათანადო ფორმების და საშუალებების უზრუნველყოფის შესახებ” შესაძლოა საგანგაშო სიგნალად აქდერდეს იმათვის, ვინც ერთადერთ პრიორიტეტიად ქართული ენის განვითარება-დანერგვის ხელშეწყობას მიიჩნევს, - ის ფაქტი, რომ პასუხისმგებლობას რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლების ხელშეწყობაზე არა მეზობელი სახელმწიფოები, არამედ სწორედ ქართული სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე, - არსებული სტატუს ქვთ გარდვევას აღნიშნავს. სადღეისოდ სასწავლო მასალები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე სომხური და აზერბაიჯანული სკოლების უმრავლესობას ბაქოდან და ერევნიდან, და არა თბილისიდან მოეწოდებათ. მუხლის 7.1 სათანადო ამოქმედების შემთხვევაში უმცირესობათა ენების სწავლებაზე კონტროლს საქართველოს სახელმწიფო აიღებს.

ქარტიის საკვანძო ნაწილი, რომელიც შეეხება სომხური და აზერბაიჯანული ენების ხელშეწყობას, ესაა ნაწილი III (მუხლები 8-14). ქარტიის მუხლის 3.1 მიხედვით, ქარტიის მონაწილე თითოეულმა სახელმწიფომ რატიფიკაციის

საკუთარი ინსტრუმენტის შესაბამისად, უნდა განსაზღვროს ორმელ რეგიონალურ და უმცირესობის ენებს შეეხება ნაწილი III. მუხლის 3.1 მიხედვით განსაზღვრული თითოეული რეგიონალური ან უმცირესობათა ენისთვის მუხლი 2.2 მოითხოვს მინიმუმ 35 პუნქტს ან ქვეპუნქტს მუხლებიდან 8-14, მათ შორის, მინიმუმ 3 პუნქტი უნდა იქნას აღებული მუხლებიდან 8 და 12; და მინიმუმ 1 პუნქტი მუხლებიდან 9, 10, 11 და 13. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად შესაძლებელია არც ერთი რეგიონალური ან უმცირესობათა ენა არ იქნას არჩეული ნაწილი III-დან და მოხდეს მხოლოდ ნაწილი II-ის რატიფიცირება (როგორც ეს მოხდა კვიპროსის მაგალითზე), ნაკლებად სავარაუდოა, რომ ექსპერტთა კომიტეტი ასენის ამგვარ ნაბიჯს, როგორც შესაბამისს ქარტის სულისკვეთებასთან, მიზნებთან და პრინციპებთან; მით უმეტეს, რომ საქართველოს შემთხვევაში აშკარად არსებობს რამოდენიმე ენა, რომელიც ნაწილი III-ში განსაზღვრულ დაცვის სფეროს განეკუთვნება. როგორც ვურლინგი აღნიშნავს, “ვინაიდან ქარტია მოუწოდებს წევრ ქვეყნებს ნაწილი III-ის აუცილებელი მინიმუმის შესრულებას თითოეულ ენასთან მიმართებაში, უარის განცხადება ნაწილი III-ის შესრულებაზე ძალიან წააგავს შემოვლითი გზის ძიებას პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, და ამდენად კანონის დარღვევის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს.”<sup>11</sup>

ამდენად, სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, რომელ ენებს ირჩევს ნაწილი III-თან შესაბამისობაში. ვურლინგმა განსაზღვრა სამი ძირითადი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც უნდა შეირჩეს რეგიონალური ან უმცირესობათა ენა ნაწილ III-თან მიმართებაში: 1) აღნიშნულ ენაზე უნდა ლაპარაკობდეს ადამიანების საკმაო რაოდენობა, 2) უნდა არსებობდეს სულ მცირე ერთი ტერიტორია მაინც, სადაც ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები კომპაქტურად სახლობენ, 3) ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები აქტიურად უნდა იყვნენ მოწადინებული, დაიცვან და განავითარონ საკუთარი ენა.<sup>12</sup> ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით ნათელია, რომ საქართველოს შემთხვევაში, აზერბაიჯანული და სომხური ენები ყველაზე მეტად მიესადაგება ნაწილ III-ს. ამ ორ ენაზე საკმაო რაოდენობის ადამიანები

<sup>11</sup> ვერდინვი, რეგიონალური და უკროპული ენების უკროპული ქარტია, კრიტიკული კომენტარი, გვ. 81 (Woehrling, *The European Charter for Regional and Minority Languages: Critical Commentary*, 81)

<sup>12</sup> იქვე, გვ. 140.

ლაპარაკობენ, და მხოლოდ ამ ორ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ცხოვრობენ კომპაქტურად ქვეყნის კონკრეტულ რეგიონებში.

რუსული ენა ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც უწინ საბჭოთა კავშირის სივრცეში მოქმედი ძირითადი ენა და ეროვნებათშორისი კომუნიკაციის ენა საქართველოში. საქართველოში ცხოვრობს დაახლოებით 83,000 ადამიანი, რომელთათვისაც რუსული ენა მშობლიურია (იხ. ცხრ. I) და საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი კარგად საუბრობს რუსულად, ვინაიდან მათვის რუსული მეორე ენას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საქართველოში არ არსებობს რეგიონი, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობის გეოგრაფიული კონცენტრაცია იქნებოდა, ამდენად, ძნელია რუსულ ენას მივუსადაგოთ ნაწილი III, ვინაიდან მის გარკვეულ პუნქტებში ნაგულისხმევია სპეციფიურად კონკრეტულ ტერიტორიებზე მოსახლე ადამიანთა ჯგუფები (იხ. ქვემოთ). ამასთან, რუსული ენისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევამ შეიძლება დააკნინოს აზერბაიჯანული და სომხური ენების დაცვისკენ მიმართული ძალისხმევა. ამის მიზეზია ის, რომ რუსული ენა ისედაც არაფორმალურად გამოიყენება ამ რეგიონების (ქვემო ქართლი და ჯავახეთი) ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებში, სადაც ზემოთაღნიშნული ენები წარმოადგენს მშობლიურს; და ამდენად, რუსული ენის განვითარების ხელშეწყობამ შეიძლება დათრგუნოს აზერბაიჯანული და სომხური ენების გამოყენებისკენ მიმართული მცდელობები. დაბოლოს, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ ქართული, და არა რუსული ენა, გახდეს ეროვნებათაშორისი კომუნიკაციის ენა; და ამ ჭრილში რუსული ენის დანერგვის ხელშეწყობამ – ენისა, რომელიც ისედაც ფართოდ გამოყენება ეროვნული უმცირესობების მიერ – შეიძლება იმ პრინციპის საწინააღმდეგოდ იმუშაოს, რომლის მიხედვითაც რეგიონალური ან უმცირესობათა ენების დაცვა არ უნდა მიმდინარეობდეს ოფიციალური ენის (ენების) საზიანოდ.

ნაწილი III-ს ამოცანა მდგომარეობს ქარტიის წევრი სახელმწიფოებისთვის „სახელმძღვანელოს“ შექმნაში, რომელშიც მოცემული იქნება კონკრეტული ნაბიჯები, მიმართული რეგიონალური ან უმცირესობათა ენების საზოგადოებრივ

ცხოვრებაში დანერგვის უზრუნველყოფისკენ. მუხლში 8 მოცემულია რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე სწავლის ხელშეწყობა “სახელმწიფო ენისთვის (ენებისთვის) ზიანის მიუენების გარეშე”. მუხლები 9, 10 და 11 გულისხმობს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას სასამართლო სისტემაში, სახელისუფლო-ადმინისტრაციულ ორგანოებსა და მასმედიაში. მუხლში 12 მოცემულია ზომების ნუსხა, რომლებიც უნდა გატარდეს კულტურულ საქმიანობათა სფეროში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების წასახლისებლად. მუხლი 13 ეხება ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებს და ითვალისწინებს ლინგვისტურ საფუძველზე არსებული შეზღუდვების აღმოფხვრას და რეგიონალური ან უმცირესობათა ენების წასახლისებას ფინანსების, ბიზნესისა და სოციალური დაცვის სფეროში. ბოლოს, მუხლი 14 ეხება საზღვართაშორის გაცვლებს და მოიცავს ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებათა შესრულების და საზღვართაშორისი თანამშრომლობის წასახლისებისკენ მიმართულ ზომებს მსგავსი ლინგვისტური თემების დასახლოებლად საზღვრებს ორივე მხარეს.

ნაწილი III-ის მუხლების უმეტესობა მოიაზრებს ქვეყნის მთელ ტერიტორიას. ამდენად, მუხლის 8.1 ცხრავე ქვეპუნქტი, ე.ო. მუხლის 8 ათი პუნქტიდან ცხრა გულისხმობს “ტერიტორიას, სადაც გამოიყენება აღნიშნული ენები”. ასევე, მუხლის 9.1 ოთხივე ქვეპუნქტი (მუხლის 9 ექვსი პუნქტიდან ან ქვეპუნქტიდან ოთხი) ეხება მხოლოდ “იმ სასამართლო ოლქებს, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც იყენებენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს, ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას”. მუხლი 10 კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტულია, თოთხმეტი პუნქტი თუ ქვეპუნქტი მოცემული თხუთმეტიდან ეხება ადმინისტრაციულ რაიონებს, სადაც ცხოვრობს რეგიონალური ან უმცირესობების ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის ისეთი საქმარისი რაოდენობა, რომელიც ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას” (მუხლები 10.1 და 10.2) ან იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობათა ენები”. (მუხლი 10.3). ანალოგიურად, მუხლი 11-ის დიდი ნაწილი (ცხრა პუნქტიდან თუ ქვეპუნქტიდან შვიდი), მუხლი 12 (ათი პუნქტიდან თუ ქვეპუნქტიდან რვა) და მუხლი 13 (ცხრა პუნქტიდან თუ ქვეპუნქტიდან ხუთი) ეხება “ტერიტორიებს, სადაც გამოიყენება (შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობათა)

ენები”. მხოლოდ მუხლი 14 (ორი ქვეპუნქტი) არ შეიცავს პუნქტს (ქვეპუნქტს), რომელიც მუხლში გათვალისწინებულ საქმიანობებს ზღუდავს კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში.

ზოგმა წევრმა სახელმწიფომ აირჩია ნაწილი III მიესადაგებინა მხოლოდ მოცემულ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე მოლაპარაკე იმ ჯგუფისთვის, რომელიც სახლობს ქვეყნის კონკრეტულ ტერიტორიაზე. ასე მაგალითად, გერმანიამ ქარტიის რატიფიკაციის ინსტრუმენტში განსაზღვრა, რომ ნაწილი III გამოყენებულ იქნება კონკრეტულ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებთან მიმართებაში, კონკრეტულ ტერიტორიაზე - *länder*.<sup>13</sup> მიუხედავად ამისა, ამ მიდგომის გამოყენება მართებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო ასრულებს საკუთარ ქვეყნის, შედგენილს ოცდათხუმეტი პუნქტიდან ან ქვეპუნქტიდან, რომლებიც ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს ეს პირობა, იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტს მიუსადაგოს ნაწილი III აზერბაიჯანულ და სომხურ ენებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მხოლოდ იმ ადმინისტრაციულ რაიონებში, სადაც მოსახლეობა აქტიურად დაპარაკობს ამ ენებზე.

მსგავსად ნაწილი II-სა, ქარტიის ნაწილი III-ის გამოყენებამ არ უნდა შეზღუდოს ეროვნულ უმცირესობათა ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრირების პროცესი. პირიქით, როგორც ნაჩვენები იქნება ქვემოთ, ნაწილი III-ის ბევრი მუხლი, ფაქტობრივად, ხელს უწყობს ინტეგრაციას. იმისთვის, რომ თვალნათლივ დავრწუნდეთ როგორ, საჭიროა გავაანალიზოთ თითოეული მუხლი და სათითაოდ განვიხილოთ ისეთი სფეროები, როგორიცაა განათლება, სასამართლო, ადმინისტრაციული ორგანოები, მედია, კულტურა და საზღვართშორისი თანამშრომლობა. ქვემოთ მოყვანილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს მუხლები შეიძლება მისადაგებულ იქნას ა) მარტივად; ბ) ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ინტეგრატიული როლისადმი ზიანის მიყენების გარეშე.

<sup>13</sup> ევროსაბჭოს გენერალური მდივნისადმი გაგზავნილი პერიოდული ანგარიში ქარტიის მე-15 პუნქტის შესაბამისად: გერმანია

## 1. განათლება

ქარტიის მუხლში 8.1, კერძოდ, პუნქტებში ა-ვ, მოცემულია სამი ძირითადი გზა განათლების სისტემაში რეგიონალური და უმცირესობათა ენების გამოყენების თვალსაზრისით: პირველი გზა (i) გულისხმობს მონოლინგვისტურ განათლებას, ე.ი. განათლების სისტემას, რომელიც მთლიანად აგებულია რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე, მეორე გზა (ii) გულისხმობს ორენოვან (ბილინგვისტურ) განათლებას; ხოლო მესამე გზა (iii) გულისხმობს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენის სწავლების შეტანას სასწავლო პროგრამაში. საქართველოს შეთხვევაში (i) და (iii) გზები არ გამოდგება. პირველი იმიტომ, რომ იმ რეგიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობები არიან გეოგრაფიულად კონცენტრირებული, უმცირესობათა ენაზე ლაპარაკობენ შინ და ამდენად, (i) გზა ნიშნავს იმას, რომ ბავშვებს პრაქტიკულად აღარ ექნებათ ან ძალზე მცირდე ექნებათ შეხება ოფიციალურ ენასთან. ანალოგიურად, (iii) გზა არ არის გამოსადეგი, ვინაიდან მისი გამოყენება ნაგულისხმევია იმ შემთხვევაში, როდესაც რეგიონალური ან უმცირესობათა ენა იმდენად სუსტად არის განვითარებული, რომ ამ ენაზე საგანმანათლებლო საგნების მნიშვნლოვანი ნაწილის წარმოდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.<sup>14</sup> იმ თემებისთვის, რომლებისთვისაც რეგიონალური ან უმცირესობათა ენები მშობლიურია, (iii) გზა გამოუსადეგარია.

ორენოვანი განათლება (ii გზა) სინამდვილეში ყველაზე მეტად მიესადაგება საქართველოს რეგიონებს, როგორცაა სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, სადაც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები კომპაქტურად არიან განსახლებული. ეს ფაქტი ადასტურებს ინტეგრაციის საჭიროებას სახელმწიფო ენის სრული კომპეტენციის საფუძველზე. მუხლში 8 ა-დ მოყვანილია ორენოვანი განათლების სისტემა, სადაც შესაბამისი ახსნა-განმარტებები ოფიციალურ ენაზე პარალელურად თან გასდევს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე სწავლებას სკოლამდელი ასაკიდან. ეს მიმართულება წარმოადგენს გარდვევას დღვანდელი სიტუაციიდან, როდესაც არაქართული სკოლების მოსწავლეები (მაგ., რუსული,

<sup>14</sup> ვურდინგი, რეგიონალური და უკრობული ენების უკრობული ქარტია, კრიტიკული კომენტარი, გვ. 148, 151 (Woehrling, *The European Charter for Regional and Minority Languages: Critical Commentary*, 148, 151)

სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლები) იღებენ ძალზე მცირე ოდენობით (ან ძალზე ცუდი ხარისხით) განათლებას ოფიციალურ ენაზე, მით უმეტეს, დაბალ კლასებში. სათანადო განხორციელების შემთხვევაში, ამდენად, მუხლის 8.1 მიხედვით სწავლება ოფიციალურ ენაზე გაუმჯობესდება იმის უზრუნველყოფის ხარჯზე, რომ ოფიციალური ენა ინტენსიურად შეისწავლება საბავშვო ბადში თუ სკოლაში სწავლების დაწყების პირველი დღეებიდანვე. ამან ხელი უნდა შეუწყოს ორენოვნებას და ინტეგრაციის პროცესს.

ანალოგიურად, საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში, მუხლის 8.1(iii) სათანადო მისადაგების შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას პოზიტიური სტიმული ინტეგრაციის მიმართულებით. უნივერსიტეტები, განსხვავებული ეთნიკური და ლინგვისტური ბაზისის სტუდენტების თავმოყრის შედეგად შეიძლება გახდეს იდეალური გარემო იმათვის, ვინც სუსტად ლაპარაკობს სახელმწიფო ენაზე – ქართულენოვან სტუდენტებთან ურთიერთობის შედეგად ისინი ადვილად აიმადლებენ სახელმწიფო ენის ცოდნის დონეს. გავიმეორებთ, რომ გზა მუხლი 8.1(i) უნდა გამოირიცხოს, ვინაიდან საუნივერსიტეტო განათლების მხოლოდ ექსკლუზიურად რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მიწოდებამ შეიძლება დააბრკოლოს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი. მიუხედავად ამისა, სასწავლო მოდულის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მიწოდება (ჩვენს შემთხვევაში, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე) სტუდენტთა ორივე ჯგუფისთვის – მათთვის, ვისთვისაც ეს ენები მშობლიურია და ქართულენოვანი სტუდენტებისთვის (მყხლი 8.1.ეii-სთან შესაბამისობაში) არაგზის რ ეწინააღმდეგება ინტეგრაციის ამოცანას; ამასთან იგი აღვივებს ტოლერანტულობას და პატივისცემას სხვა ენების მიმართ. აზერბაიჯანული და სომხური ენების სასწავლო კურსები ამ შემთხვევაში უნდა მოეწყოს ოდნავ სახეცვლილად იმათვის, ვინც სწავლობს ამ ენებს, როგორც მეორე მშობლიურს – ანუ, თუ იმათვის, ვისთვისაც ეს ენები მშობლიურ ენებს წარმოადგენს, აქცენტი უნდა გაკეთდეს ფილოლოგისა და ლიტერატურის გაღრმავებულ სწავლებაზე, ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში კი ძირითადი ფოკუსი ზოგად ლექსიკასა და გრამატიკაზე გაკეთდება. თუმცა, კრთობლივი ლექცია-სემინარების რიცხვი თრივე ჯგუფის მონაწილეობით გაიზრდება უნივერსიტეტის ზრდა-გაფართოებასთან ერთად.

რაც შეეხება მუხლის 8 სხვა პუნქტებს, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია დიდი კომპეტენცია მოზრდილთა (არასაუნივერსიტეტო) განათლების სისტემაში, შესაძლებელია მუხლი 8.1ვ (iii) გზის გამოყენება, (ე.ი. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების, როგორც მოზრდილთა და განგრძობითი სწავლების საგნად შეთავაზება). მუხლების 8.1ა და 8.1ვ დანერგვის საჭიროების გათვალისწინებით, მუხლი 8.1ო ასევე აუცილებელია, ვინაიდან უზრუნველყოფს ქარტიის ნაწილი III-ით განსაზღვრული ენების ეფექტურ სწავლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გარკვეული ძალისხმევა იქნა მიმართული უმცირესობათა ენებზე სწავლების ხელშესაწყობად; ილია ჭავჭავაძის უცხო ენათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სომხური, აზერბაიჯანული და რუსული ენების სექტორები, ძირითადად იმათვის, ვინც არაქართულ სკოლებში მასწავლებლად აპირებს მუშაობას.<sup>15</sup> ანალოგიურად, მუხლი 8.1ი, რომელიც მოუწოდებს შეიქმნას “საზედამხედველო ორგანო ან ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლების შემოღებისა და განვითარების სფეროში მოღწეული პროგრესის მონიტორინგზე და მათ მიერ მოკვლეული შედეგების შესახებ პეროდული მოხსენებების შედგენაზე, რომლებიც შემდგომში საჯაროდ გამოქვეყნდება” არ შეიცავს არავითარ წინაღმდეგობებს და მისი განხორციელება მხოლოდ გაზრდის გატარებული ზომების ეფექტურობას. და ბოლოს, მუხლი 8.2, რომელიც ითვალისწინებს ნაწილი III-ით განსაზღვრული რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ხელშესაწყობას ტერიტორიებზე, სადაც ეს ენები ტრადიციულად არ გამოიყენება, შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შეთხვევაში, თუ “რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე მოღაპარაკე პირთა რაოდენობა ამას ამართლებს”. ისევე, როგორც ზემოთ, ეს არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას ქართული სამთავრობო სტრუქტურებისთვის.

<sup>15</sup> სადღეისოდ აზერბაიჯანულ სექტორზე სწავლობს 17 სტუდენტი; 19 ეთნიკური სომები და 53 სხვადასხვა ეროვნების სტუდენტი სწავლობს სომხურ და რუსულ სექტორებზე. სულ რამდენიმე წლის წინათ უმაღლესი განათლების თოთქმის ყველა დაწესებულებაში უუნდერინგებდა რუსული ფაკულტეტები, 2005 წელს ეს ფაკულტეტები დაიხურა, ოფიციალური მიზეზით, მოთხოვნის არარსებობის გამო.

ამდენად, მუხლი 8-ის 10 პუნქტიდან შესაძლებელია საქართველომ დამტკიცოს რვა ან ცხრა პუნქტი (თუ ჩაგთვლით მუხლს 8.1გ iii.), ქვემო ქართლსა და ჯავახეთში მცხოვრები აზერბაიჯანული და სომხური თემების წარმომადგენელთა ინტეგრაციის დაუბჯროლებლად. მუხლი 8, სათანადო ამოქმედების შემთხვევაში (ე.ი. გზების ii შერჩევისას) ხელს შეუწყობს ორენოვნების განვითარებას და ოფიციალური ენის არა დაბრკოლებას, არამედ სწავლებას არაქართველებისთვის ადრეული ასაკიდან. მუხლში 8 არსებობს ერთადერთი პუნქტი, რომლის ამოქმედება ჯერჯერობით მიზანშეწონილია გადაიდოს (მუხლი 8.1ხ) და იგი ეხება ისტორიის და კულტურის სწავლებას იმგვარად, როგორც ეს აისახა რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე. ისტორიის სწავლება სამხრეთ კავკასიაში ძალზე საკამათო საკითხია და ხშირად გამოიყენებოდა ამა თუ იმ ეროვნული ჯგუფის ეთნო-ნაციონალისტური მისწრაფებების გასამართლებლად. ამდენად, ისტორიკოსთა შორის ზოგადი კონსენსუსის მიღწევამდე აღბათ უპრიანი იქნება გადაიდოს ამ მუხლის რატიფიცირება, რათა არ გაღვივდეს ხანგრძლივი ისტორიული შეუთანხმებლობები სხვადასხვა კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

## **2. მართლმსაჯულების სისტემა**

ქარტიის მუხლში 9 მოცემულია ღონისძიებათა ჩამონათვალი (რომელთაგან ზოგი შედარებით მოკრძალებულია), რომლებიც ეხება რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის წარმოებაში. როგორც აუცილებელ მინიმუმს, მუხლი მოითხოვს, რომ სასამართლო წარმოებში მონაწილე მხარეებს იმ ტერიტორიებზე, სადაც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობათა ენები, მიეცეთ თვითგამოხატულების საშუალება მშობლიურ ენებზე და ამ უფლების მოსაპოვებლად არ დასჭირდეთ დამატებითი ხარჯების გადება. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ოფიციალური ენა კარგავს სასამართლო სისტემაში გამოყენებულ ოფიციალური ენის სტატუსს.

საქართველოს შემთხვევაში მუხლში 9 მოცემული ექვსი პუნქტიდან ხუთის – მუხლი 9.1ა(ii), მუხლი 9.1ბ(ii), მუხლი 9.1გ(ii), მუხლი 9.1დ(ii) და მუხლი 9.3 ამოქმედება დაკაშირებულია რამოდენიმე ტექნიკურ პრობლემასთან. მუხლებში 9.1ა(ii), მუხლი 9.1ბ(ii), მუხლი 9.1გ(ii)) და მუხლი 9.1დ(ii) მოცემული მოთხოვნები გათვალისწინებულია არსებული კანონმდებლობით. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 85.2), სამართალწარმოებისას “პირი, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმის მომსახურებით” და კონსტიტუციით დადგენილი ეს პუნქტი ასევე განმტკიცებულია 1997 წლის კანონით “ზოგადი სასამართლოების შესახებ” (მუხლი 10), რომელიც ასევე აზუსტებს, რომ “თარგმანთან დაკავშირებული დანახარჯები დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან”. ეს კანონი მოიცავს სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას. თუმცა, მუხლში 9 მოცემულ შესაბამის პუნქტებს ასევე ეხება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 73.4-ის შესწორებები (მიღებულია 1999 წელს, ძალაში შევიდა 2000 წელს), რომელიც, მოითხოვა რა, რომ “იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ან დაინტერესებული მხარის მიერ [ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის] წარმოდგენილი სხვა დოკუმენტი არ არის შესრულებული სახელმწიფო ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს მისი ნოტარიალური წესით დამოწმებული თარგმანი”, ფაქტობრივად, გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თარგმანზე პასუხიმსმგებლობა და ხარჯები ეკისრება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე მოლაპარაკე პირს. უფრო მეტიც, კონსტიტუციით გათვალისწინებული მუხლი 85.2, რომელიც გულისხმობს იმას, რომ “პირები, რომლებმაც არ იციან სახელმწიფო ენა, სამართალწარმოებისას უზრუნველყოფილი იქნებიან თარჯიმის მომსახურებით”, კიდევ უფრო გაღრმავებულია ქარტიის მუხლით 9, რომლიც თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებაში მონაწილე მხარეებმა შეიძლება გამოიყენონ შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობათა ენა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მხარეებმა იციან სახელმწიფო ენა.

მუხლი 9.3, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული დოკუმენტების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნის უზრუნველყოფას, ასევე არ არის პრობლემაგური. ქართული კანონმდებლობის ცოდნის დონის ამაღლება ქვემო ქართლსა და სამცხე-

ჯავახეთში კომპაქტურად დასახლებულ აზერბაიჯანულ და სომხურ თემებს შორის მხოლოდ გაზრდიდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ თემების წარმომადგენელთა მონაწილეობის ხარისხს. მართლაც, ეს უკანასკნელი წარმოადგენს კიდევ რიგი ქართული არასამათავრობო ორგანიზაციების მიზანს და ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტური დასახლების ადგილებში ამ მიზნით საერთაშორისო დონორებიც მუშაობენ.

მუხლში 9 მხოლოდ მუხლი 9.2 შეიძლება იყოს რამდენადმე წინააღმდეგობრივი, ვინაიდან გულისხმობს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე შედგენილი იურიდიული დოკუმენტების ლეგალიზაციას. ამ პუნქტმა შეიძლება გამოიწვიოს ოპონირება ქართული სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან, იმ მიზეზით, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ქართულს, როგორც ოფიციალურ სახელმწიფო ენას.

### **3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები**

მუხლის 10 განხორციელებისას, რომელიც საჯარო სამსახურში რეგიონალურ ან უმცირესობათა ენის გამოყენებას შეეხება, არსებობს ორი შესაძლო მიღება. უფრო მეტად ამბიციური მიღება იქნებოდა ნაწილი III-ით განსაზღვრული ენებისთვის ერთგვარი კვაზი-ოფიციალური სტატუსის მინიჭება იმ გეოგრაფიული რეგიონების ადმინისტრაციულ ორგანოებში, სადაც ეს ენები ფართოდ გამოიყენება. საქართველოში ეს გზა ძალზე თამამ მიღებოდა ჩაითვლებოდა იმ მიზეზით, რომ დაკნინდებოდა სახელმწიფო ენის როლი. თუმცა, მუხლის 10 ქვეპუნქტები არ მოითხოვს ამგვარ მიღებას; ეს პუნქტები გულისხმობს იმას, რომ რეგიონალური ან უმცირესობათა ენები შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობისას. როგორც ვურდინგი აღნიშნავს, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებას შორის გარე ურთიერთობებისას და ადგილობრივი ადმინისტრაციის ორგანოებს შორის შედა ურთიერთობებისას გამოყენებული ენა. მომდევნო განსხვავება უნდა დადგინდეს ადგილობრივი ხელისუფლების

წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის.<sup>16</sup> მუხლის 10 გამოყენების შედარებით შეზღუდული გარიანტი იქნებოდა: ა) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების უფლება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებას შორის გარე ურთიერთობებისას, მაგრამ არა აუცილებლად - ადგილობრივი ადმინისტრაციის ორგანოებს შორის შიდა ურთიერთობებისას; და ბ) ამ ენების გამოყენების უფლება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში, მაგრამ არა აუცილებლად - აღმასრულებელ ორგანოებში. ამგვარი მიდგომა არც ერთ შემთხვევაში არ დააკნინებს სახელმწიფო ენას და შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული საქართველოს შემთხვევაში, ქართული ენის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში გამოყენებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

საქართველო ადვილად შეასრულებს ყველა პირობას ზემოთადნიშნული, უფრო მეტად შეზღუდული მიდგომის გამოყენებით, რაც გულისხმობს მუხლი 10-ის თხუთმეტი პუნქტიდან ცხრა პუნქტის შესრულებას, კერძოდ, 10.1ა იი., 10.1ბ, 10.2ბ, 10.2ზ, 10.2ზ, 10.3, 10.4 და 10.5. აქ ყველაზე მეტად საყურდებოა მუხლები 10.1 და 10.2 (ა-ვ), რომლებიც ეხება ადგილობრივი ადმინისტრაციის ორგანოებში ურთიერთობათა ენას და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებისას გამოყენებულ ენას. აქ მუხლები 10.2გ და 10.2ჟ არ გამოდგება საქართველოსთვის, ვინაიდან აქ ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებობს არჩეული წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული მხოლოდ ერთი შრე.<sup>17</sup> მუხლები 10.2 არსებული ეს განსხვავება “რეგიონალურ” და “ადგილობრივ” სტრუქტურებს შორის ამდენად არ გამოდგება საქართველოს შემთხვევაში (იხ. დანართი 1). დამატებით ამ მუხლებთან, საქართველომ შეიძლება განახორციელოს მუხლი 10.2ზ (გულისხმობს გეოგრაფიული დასახელებების რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე გამოყენების უფლებას) და მუხლი 10.5 (გარების რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე გამოყენების უფლებას), ვინაიდან ეს ნაბიჯები შეესატყვისება ქარტიის მუხლს 11, რომელიც საქართველომ უკვე დაამტკიცა. საქართველომ ასევე

<sup>16</sup> კურლინგი, რეგიონალური და უმცირესობის უფლებას უკროპული ქარტია, კრიტიკული კომენტარი, გვ. 183

<sup>17</sup> იქნ. გვ. 186.

შეიძლება გამოიყენოს ქარტიის მუხლი 10.3 (ქვეპუნქტი გ), რომელიც საშუალებას აძლევს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირებს შეიტანონ განცხადი ამავე ენებზე იმ ტერიტორიებზე, სადაც ეს ენები ფართოდ გამოიყენება; და მუხლი 10.4 (ქვეპუნქტი ა, ბ, და გ), რომელიც გულისხმობს (ორენოვანი) პერსონალის დანიშვნას ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ცოდნით.

რასაკვირველია, ქარტიის სულისკვეთებასთან შესაბამისობაში, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას აქტიური ნაბიჯები აღნიშნული დონისძიებების სათანადოდ განხორციელებისთვის. საკანონმდებლო ცვლილებების თვალსაზრისით აღნიშნული ქვეპუნქტების მიღება მოითხოვს შესწორების შეტანას საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” მუხლში 10 (მიღებულია 2005 წ.), რომლის თანახმად, “ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სამუშაო ენას და საქმის წარმოების ენა წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ენა”. შესწორებაში უნდა აისახოს შესაბამისი გამონაკლისი წარმომადგენლობით ორგანოებთან მიმართებაში. მეტიც, მუხლის 10.4 განხორციელება მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისგან, აქტიური როლი შეასრულოს ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენტური ორენოვანი პერსონალით დაკომპლექტებაში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და საზოგადოებას შორის კავშირისა და თარჯიმნების უზრუნველყოფის მიზნით. როგორც წინამდებარე წერილის ავტორმა წინა წერილში აღნიშნა, აღნიშნული წაახალისებს ორენოვან განათლებას თემებში, რომელთა წარმომადგენლებმა არ იცოდნენ და არც იყვნენ დაიტერესებულნი სახელმწიფო ენის შესწავლით. ასევე, შეიქმნება ორენოვანი პროფესიონალების რეზერვი უწინ მარგინალიზებულ ეთნიკურ უმცირესობებში.<sup>18</sup> ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, კი არ დააბრკოლებს, არამედ გააღრმავებს ეროვნული ინტეგრაციის პროცესს.

<sup>18</sup> იხ. ჯონატან უიტლი, “ემცირესობათა ენების სტატუსი საქართველოში და სხვა ევროპულ ქვეყნებში არსებული მოდელების შესაბამისობა”, ეროვნულ უმცირესობათა ევროპული ცენტრი, სამუშაო დოკუმენტი №26, 2006 წლის მარტი - Jonathan Wheatley, “The Status of Minority Languages in Georgia and the Relevance of Models from Other European States”, ECMI Working Paper #26 (March 2006). [www.ecmi.de/download/working\\_paper\\_26.pdf](http://www.ecmi.de/download/working_paper_26.pdf).

#### 4. მედიის საშუალებები

საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გამოხატა მასმედიაში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების სურვილი. საქართველოს კულტურის სამინისტრო აფინანსებს გაზეთებს უმცირესობათა ენებზე, როგორიცაა სომხურენოვანი კრასტან, აზერბაიჯანულენოვანი გურჯისტან და რუსულენოვანი სკობოდნაია გრუზია. უფრო მეტიც, საქართველოს კანონში “მაუწყებლობის შესახებ” 2008 წლის მარტში შეტანილი შესწორებების თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის დაახლოებით 25% უნდა დაიხარჯოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ პროგრამების მომზადებაზე, და ასევე პროგრამების მაუწყებლობაზე უმცირესობათა ენებზე.” ეს მიმართულება დადასტურებულია აგრეთვე საქართველოს მიერ ახლახანს მიღებულ “შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაში” (დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის 29 აპრილს).<sup>19</sup> 2005 წლიდან საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი მაუწყებლობს საინფორმაციო პროგრამას მოამბჯ აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე კვირაში ერთხელ, 30 წუთის განმავლობაში (განსხვავებულ ენაზე ყოველდღე, პლიუს მოკლე საინფორმაციო პროგრამა რუსულ ენაზე ყოველდღიურად). ასევე გადაიცემა რადიო გადაცემები დღის განმავლობაში ზემოთაღნიშნულ ენებზე, ასევე კურძანჯი (ქურთულ ენაზე). დამატებით, უკანასკნელ წლებში ეთერში გადის რიგი პროგრამებისა უმცირესობათა საკითხებზე, მათ შორის თოქ-შოუ იტალიური ეხო, შოუ ჩვენი საქართველო და დოკუმენტური ფილმების სერია ეთნიკურ უმცირესობებზე (მულტიეთნიკური საქართველო).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა აგრეთვე 2005 წელს ტელეკომპანია ალანია TV-ს შექმნას, რომლის მიზანი იყო

<sup>19</sup> ტოლერანტულობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ნაციონალური კონცეფცია, დამტკიცდა საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წლის 29 აპრილს.

ინფორმაციის გავრცელება რუსულ უნაზე სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონის მოსახლეობისთვის. ალანია TV დღემდე მაუწყებლობს.<sup>20</sup>

ეროვნული კონცეფციის მიღებასთან და ზემოთაღნიშნულ საკანონმდებლო ცელილებებთან შესაბამისად, შემუშავებულია უმცირესობათა ენებზე მაუწყებლობის წილის მნიშვნელოვანი გაზრდის გეგმები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებრივ მაუწყებლობაში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ჩართვის სურვილი აშკარაა, დღემდე ამ მიმართულებით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები არცოუ ისე ბევრია. საბჭოთა პერიოდიდან ტრადიციულად ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსების ქვეშ არსებული, უმცირესობათა ენებზე გამოცემული გაზეთების დაფინანსება ბოლო წლებში შემცირდა.<sup>21</sup> რაც შეეხება სახელმწიფო ტელევიზიას, მისი შენატანი რეგიონალური ან უმცირესობათა ენების განვითარებაში არცოუ იმდენად საგრძნობია; კერძოდ, მოამბის ეთერში გასვლის დრო (15.00) შორსაა პრაიმ-თაიმიდან და ვინაიდან ინფორმაცია ერთ ენაზე კვირაში მხოლოდ ერთხელ გადის, შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი მოცულობა ძალზე მწირია. და ბოლოს, ალანია TV-ს დააარსება საკამათო საგანია, ვინაიდან დამკვიდრებული მოსაზრებით, იგი მიზნად ისახავდა არა მარტო ოსური ენის განვითარების ხელშეწყობას, არამედ ემსახურებოდა სეპარატისტული რეჟიმის საწინააღმდეგო პროპაგანდას.

ნებისმიერი გადადგმული ნაბიჯით საქართველოს ხელისუფლება ადასტურებს, რომ, ფაქტობირვად, არ ეწინააღმდეგება ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება მასმედიაში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების უფრო ფართო დანერგვას. მეტიც, ქარტიის მუხლი 11 გულისხმობს კიდევ უფრო მეტი სტიმულის მიცემას საქართველოს ხელისუფლებისთვის, გააგრძელოს წამოწყებული ინიციატივები და წაახალისოს საზოგადოებრივი მაუწყებელი კიდევ უფრო გააღრმავოს მცდელობები ამ მიმართულებით. კიდევ ერთხელ, სახელმწიფოს არ

<sup>20</sup> მოლი კორსო, “სატელევიზიო მაუწყებლობა საქართველოში მისტერიულია და ბადებს კითხვებს”, ევრაზია ინსაიტი, 2006 წლის 22 მაისი (Moly Corso, ‘Television Station in Georgia Operates Mysteriously, Generates Controversy’ (Eurasia Insight, 22 May 2006) <http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav052206a.shtml>

<sup>21</sup> მაგ., ეთნიკურად სომები პარლამენტარის ვან ბაიბურთის ინფორმაციით (2006 წლის 27 იანვარი), 2005 წელს გაზეთის კრასტაზ დაფინანსებამ შეადგინა 15.000 ლარი, მაშინ როდესაც, ჩვეულებრივ, გაზეთის დაფინანსება შეადგენდა 20.000 ლარს. [http://www.media.ge/eng/news\\_detailed.php?id numb=366](http://www.media.ge/eng/news_detailed.php?id numb=366)

სჭირდება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მაუწყებელი ტელე და რადიო არხების დაარსება, საქმარისია ის ფაქტი, რომ იგი მხარს უჭერს არსებულ ინიციატივებს, მით უმეტეს, რომ მხარდაჭერა არ გამოიხატება მხოლოდ სიტყვებსა და ცარიელ ჟესტებში. უკვე გადადგმულ ნაბიჯებთან შესაბამისობაში, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია იმუშაოს იმის უზრუველყოფაზე, რომ “ტელერადიომაუწყებლებმა წარმოადგინონ პროგრამები რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე” (მუხლი 11.1aiii), “წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რადიოპროგრამების მაუწყებლობას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე რეგულარულ საფუძველზე” (მუხლი 11.1d ii), “წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე რეგულარულ საფუძველზე; (მუხლი 11.1g ii), “წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე აუდიო და აუდიოვიზუალური ნაშრომების წარმოებას და დისტრიბუციას;” (მუხლი 11d), და “წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ საგაზეთო სტატიების გამოქვეყნებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე რეგულარულ საფუძველზე” (მუხლი 11e ii). მუხლები 11g და 11h, შეესაბამება რა საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ინიციატივებს, გულისხმობს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას, რისი გაღებაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს სახელმწიფოსთვის დღევანდელ რთულ ვითარებაში. თუ არ ჩავთვლით ამ პუნქტებს, საქართველომ უნდა დაამტკიცოს მუხლის 11.1 შვიდი პუნქტიდან ხუთი მაინც.

რაც შეეხება მუხლს 11.2 რადიო და ტელემაუწყებლობის და ბეჭდური მედიასაშუალებების მიღების უზრუნველყოფის შესახებ ტრანსსასახლერო კონტექსტში, ეს პირობა აზერბაიჯანულ და სომხურ უმცირესობებთან მიმართებაში დაკმაყოფილებულია. სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები მოსახლეობა იღებს რადიო და ტელეპროგრამებს ბაქოდან და ერევნიდან. მაშინ როდესაც ეს სიტუაცია ზოგიერთის აზრით (ქართული მხრიდან) აიხსნება როგორც ეროვნულ უმცირესობათა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების შემაფერხებელი ტენდენცია, მედიის და კულტურის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა კი არ უნდა შეზღუდონ ეროვნულ უმცირესობათა მიერ მსგავსი მაუწყებლობის მიღება, არამედ, ამის

საპირისპიროდ, მოიზიდონ და დააინტერესონ ისინი ქართული მაუწყებლობით – ორგორც სახელმწიფო ენის სწავლების, ასევე (სადაც აუცილებელია) ქართული ტელეგადაცემების შესაბამის უმცირესობათა ენებზე სინქრონული თარგმანის უზრუნველყოფით.

და ბოლოს, მუხლი 11.3, რომელიც ეხება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოღაპარაკეთა ინტერესების წარმოდგენას მედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებში – ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის მოკლე დროში დაკმაყოფილება შეიძლება პრობლემატური აღმოჩნდეს, ვინაიდან ამგვარი ორგანოების შექმნაზე საუბარი ნაადრევია ჯერ თავად ქართულენოვან მედიასთან მიმართებაში.

საქართველოში თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის განვითარების ისტორია სულ რაღაც ათ წელს ითვლის. ამდენად, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ჯერ კიდევ არსებობს სარედაქციო პოლიტიკაში ჩარგვის და, ამდენად, მედიის თავისუფლების არა ხელშეწყობის, არამედ შეზღუდვის ტენდენცია. მანამ, სანამ ეს მდგომარეობა ნორმალიზდება ნაკლებად საგარაუდოა, ზემოთაღნიშნულმა ნაბიჯმა რაიმე შედეგი მოიტანოს. ჯერჯერობით, საქართველომ შეიძლება დაკმაყოფილოს მუხლი 11-ის ცხრა პუნქტიდან ექვსი.

## 5. კულტურა

საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა მთელი რიგი კულტურული ორგანიზაციებისა, რომლებიც წარმოადგენდნენ საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა ენებს და კულტურებს. ამდენად, არსებობს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მიმდინარე კულტურულ საქმიანობათა მხარდაჭერის პრეცედენტი. მთავარი პრობლემა აქ ისაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისა და მისი თანამდევი ეკონომიკური კრიზისის შედეგად უმრავლესობა აღნიშნული ორგანიზაციებისა ან დაიშალა, ან ფუნქიონალურობა დაკარგა დაფინანსების არარსებობის გამო. ნათელია, რომ სახელმწიფო დაფინანსების არარსებობისას/შეზღუდვისას პრიორიტეტულად კულტურულ საქმიანობათა

ფინანსური მხარდაჭერა ნაკლებად სავარაუდოა. ამდენად, ფინანსური პრობლემის გარდა, პრინციპულად, საქართველოს სახელისუფლო ორგანოების მხრიდან რამე სხვა სახის წინააღმდეგობას ადგილი არ აქვს ქარტიის მუხლი 12-ის მთხოვნებთან მიმართებაში.

ფაქტობრივად, ქართული სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან არსებობს მყარი მიზეზები, რათა შესაძლებლობათა ფარგლებში მოხდეს კულტურის სფეროს მხარდაჭერა როგორც ქართულ, ასევე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. უპირველეს ყოვლისა, აქცენტი კეთდება კულტურულ საქმიანობათა ხელშეწყობაზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. მხოლოდ მუხლი 12.1თ მოიხსენიებს ფინანსურ საკითხს და პრინციპში, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობათა დაფინანსება შეიძლება გადაიდოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებამდე. მეორე მხრივ, მუხლი 12-ის ზოგი პუნქტი შეიცავს ზომებს, რომლებიც პირდაპირ ემსახურება სამოქალაქო ინტერაციის მიზნებს. კერძოდ, მუხლი 12.1ბ და გ, რაც გულისხმობს სათარგმანო, დუბლირების, პოსტ-სინქრონიზაციისა და სუბტიტრირების საქმიანობისათვის დახმარების გაწევას ქართულენოვანი მოსახლეობისთვის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე შექმნილი ნაშრომებისადმი ხელმისაწვდომობისა და ასევე, ქართული ფილმებისა და ლიტერატურის აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით – დაეხმარება მოსახლეობის უმრავლესობისა და უმცირესობათა თემების დახმარებას. მეტიც, განხორციელება მუხლში 12.1ე აღწერილი ზომებისა, რომელთა გატარება მიზანშეწონილია იმ მიზნით, რომ კულტურულ საქმიანობათა განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოებში მუშაობდეს შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე მოლაპარაკე პერსონალი, ხელს შეუწყობს ორენოვნების განვითარებას და დროთა განმავლობაში, სახელმწიფო მოწვევანი ინტელიგენციის ჩამოყალიბებას, რომელმაც შეიძლება შეასრულოს ქართულ და უმცირესობათა კულტურებს შორის დამაკავშირებელი ხიდის როდი. ამდენად, მუხლი 12-ში მოყვანილი ზომების შესრულებამ შეიძლება ინტეგრატიული როლი ითამაშოს ქართულ საზოგადოებაში. შეზღუდული ფინანსური რესურსებითაც კი საქართველოს შეუძლია მუხლი 12-ში მოყვანილი ყველა პუნქტის შესრულება, გარდა 12.1თ ქვეპუნქტისა (ე.ი. შესრულებას ექვემდებარება ათი პუნქტიდან ცხრა).

## 6. ეკონომიკური საქმიანობები

როგორც ვურდინგი აღნიშნავს, მუხლი 13, რომელიც ეხება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების გამოყენებას ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობებში, ემსახურება ორ ძირითად მიზანს: პირველი – შეზღუდვების აღმოფხვრა რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების გამოყენებასთან დაკავშირებით სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში, და მეორე – იმ საქმიანობათა მხარდაჭერა, რომლებიც წაახალისებს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების გამოყენებას ამ სფეროებში<sup>22</sup>. საქართველოს შემთხვევაში პირველი მიზნის მიღწევა უფრო ადვილია, ვიდრე მეორესი. ამის მიზეზია ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ სახელმწიფოს გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე უფრო მეტად ფორმალურია, ვიდრე ოფიციალური და ამდენად, სახელმწიფოს როლის ინსტიტუციონალიზაცია ეკონომიკურ ცხოვრებაში ჯერ ადრეულ ეტაპებს ითვლის. ამდენად, სადღესოდ, ეკონომიკური საქმიანობების განმახორციელებელი ინსტიტუციების შიდა რეგულირების შესაცვლელად მუხლებით 13.1ბ, 13.1გ, 13.1დ, 13.2ა and 13.2ბ განსაზღვრული კონკრეტული ზომების შემოღება ნაკლებად მოიტანს შედეგს. მუხლი 13.2ე, რომელიც ემსახურება ინფორმაციის გავრცელებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მომხმარებელთა უფლებების სფეროში, სავარაუდოდ, ასევე არაპრაქტიკულია, ზოგადად “მომხმარებელთა უფლებების” ცნების ირგვლივ საქართველოს მოსახლეობის ნაკლებად გაცნობიერებულობის გამო. შედარებით ადვილად შესასრულებელი მოთხოვნები მოცემულია მუხლში 13.1ა, რომელიც ითვალისწინებს იმგვარი კანონმდებლობის გაუქმებას, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას დოკუმენტებში, რომლებიც ეხება ეკონომიკურ ან სოციალურ ცხოვრებას; მუხლი 13.2.გ, რომელიც ითვალისწინებს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების უზრუნველყოფას სოციალური დაცვის დაწესებულებებში, როგორიცაა სააგადმყოფოები; და მუხლი 13.2.დ, რომელიც ითვალისწინებს, რომ უსაფრთხოების ინსტრუქციები შედგენილ იქნას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე იმ

<sup>22</sup> ვურდინგი, რეგიონალური და უკროპული ენების უკროპული ქარტია, კრიტიკული კომენტარი, გვ. 224 - Woehrling, *The European Charter for Regional and Minority Languages: A Critical Commentary*, 224.

ტერიტორიებზე, სადაც ეს ენები ფართოდ გამოიყენება. ამდენად, საქართველოს შეუძლია შეასრულოს მუხლი 13-ის ცხრა პუნქტიდან სამი.

## **7. საზღვართშორისი გაცვლები**

საქართველოს უახლესი ისტორიიდან გამომდინარე, კერძოდ კი, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში 1990 წლების სამოქალაქო ომებით გამოწვეულმა საქართველოს იურისდიქციის დაკარგვამ საზღვართშორისი გაცვლების საკითხი მეტად პრობლემატური გახდა. ეს საკითხი ასევე არსებითია სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ და სომხურენოვან მოსახლეობასთან მიმართებაში, რომლებიც ესაზღვრებიან საკუთარ მონათესავე სახელმწიფოებს. ამ თემების გეოგრაფიული განთავსება, ირედენტიზმის შიშთან ერთად ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება თავს შეიკავებს საზღვართშორისი გაცვლების ხელშეწყობისკენ მიმართული ზომების გატარებისგან - ერთი მხრიდან საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანულ და სომხურენოვან ლინგვისტურ უმცირესობებსა და მეორე მხრიდან, აზერბაიჯანსა და სომხეთში მცხოვრებ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობას შორის. თანაც, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი გაცვლები მაინც იწარმოება და სწორედ ეს ბადებს შიშს, რომ ეს უმცირესობები უფრო უკეთ არიან ინტეგრირებული თავიანთ მონათესავე ქვეყნების სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, ვიდრე საქართველოს სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამდენად, ამ ეტაპზე აღნიშნული ზომების გატარება ჩაითვლება ინტეგრაციის საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებად. ამასთან, არსებული კავშირების სიხშირის გათვალისწინებით, ამგვარი ზომების გატარება ზედმეტიც კია. ამდენად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველო საკუთარ თავზე აიღებს მუხლში 14 მოყვანილი პუნქტების შესრულებას.

## **8. ნაწილი III-ის გამოყენების შეჯამება**

ამ ნაწილში მე გამოვავლინე, თუ როგორც შეიძლება საქართველომ მიუსადაგოს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტის ნაწილი III

აზერბაიჯანული და სომხური ენების დაცვას, სამოქალაქო ინტეგრაციისა და 'დემოსის' კონსოლიდაციის იდეებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, რაც ეფუძნება საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქის, და არა ერთი ეროვნებით განსაზღვრული თემის - საზოგადოებრივ გაერთიანებას. პირიქით, ნაწილი III-ის განხორციელების შედეგად შეიძლება ხელი შეეწყოს ინტეგრაციის პროცესს ორენოვანი განათლების შემოდებით ადრეული ასაკიდან, და ორენოვანი ინტელიგენციის ჩამოყალიბებით - რომელსაც შეადგენენ დასაქმებული მასწავლებლები, მთარგმნელები და საზოგადოებასთან ურთიერთობებზე პასუხისმგებელი პირები. ამგვარი ნაბიჯები, იმედია, ერთმანეთთან დაახლოვებს საქართველოში მცხოვრებ განსხვავებულ ლინგვისტურ თემებს. დასკვნის სახით მინდა ავლიშნო, რომ საქართველომ შეიძლება მიიღოს ქარტიის ნაწილი III-ის 42 პუნქტი, რაც 7 პუნქტით აღემატება აუცილებელ მინიმუმს - 35 პუნქტს. ესენია: მუხლები 8.1ა (ii), 8.1ბ (ii), 8.1გ (ii), 8.1დ (ii), 8.1ე (ii), 8.1თ, 8.1ი, 8.2, 9.1ა (ii), 9.1ბ (ii), 9.1დ, 9.3, 10.1ა (ii), 10.1ბ, 10.2ბ, 10.2დ, 10.2გ, 10.2ჳ, 10.3, 10.4ა, 10.4ბ, 10.4გ, 10.5, 11.1ა (iii), 11.1ბ (ii), 11.1გ (ii), 11დ, 11ე (i), 11.2, 12.1ა, 12.1ბ, 12.1გ, 12.1დ, 12.1ე, 12.1ჳ 12.1ჳ, 12.2, 12.3, 13.1ა, 13.2გ and 13.2დ. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს ხელისუფლებას გადაწყვიტოს, თუ რამდენი პუნქტის მიღება სურს საბოლოოდ, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებთან მიმართებაში შესაძლოა განსხვავებული მოდულების რატიფიცირება, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება და შესაბამისი ლინგვისტური ჯგუფების წარმომადგენლები ეთანხმებიან განსხვავებულ მდგომარეობას აღნიშნულ ორ ენასთან მიმართებაში.

#### IV. დასკვნა

წინადებარე ნაშრომში მე გამოვავლინე, თუ როგორ შეეწყობს ხელს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია არა მხოლოდ გაქრობის წინაშე მდგარი, ყველაზე მცირერიცხოვან უმცირესობათა ენების დაცვას, არამედ მოახდენს საქართველოში შედარებით ფართოდ გამოყენებადი - აზერბაიჯანული და სომხური ენების ინსტიტუციონალიზაციას სამოქალაქო ინტეგრაციის საბოლოო მიზნისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ბევრ ქვეყანაში, რომლებმაც უკვე მოახდინეს ქარტიის რატიფიცირება, ოფიციალურ ენაზე (ენგლიურ) ლაპარაკობს პრაქტიკულად ყველა მოქალაქე. საქართველოში კი, სახელმწიფო ენის არასაკმარისმა ცოდნამ დააბრკოლა ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია და გამოიწვია შიში, რომ “ჩვენ, ერი” ცნების მატარებელი ცნობიერების ნაკლებობამ შეიძლება შეაფერხოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება. საქართველოს შემთხვევაში, ამდენად, რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია გულმოდგინედ უნდა იქნას გაანალიზებული, რათა მაქსიმალური დაკვირვების და ზედმიწევნითი ანალიზის შედეგად სწორად შეირჩეს ქარტიის ნაწილი III-ის შემადგენელი პუნქტები იმისთვის, რათა გატარებული ზომების შედეგად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა არ დაკარგონ ქართული ენის შესწავლის სურვილი. როგორც წინა ნაწილში ვაჩვენე, პუნქტები შეიძლება შეირჩეს იმგვარად, რათა კი არ შეფერხდეს, არამედ ხელი შეეწყოს სამოქალაქო ინტეგრაციას და სახელმწიფო ენის სწავლებას იმათვის, ვისთვისაც ქართული ენა არ წარმოადგენს მშობლიურს.

ფუნდამენტური გამოწვევა საქართველოსთვის, ქარტიის რატიფიცირებამდე პერიოდში, ატარებს უფრო მეტად ფსიქოლოგიურ, ვიდრე ტექნიკურ ხასიათს. ქარტიის ფილოსოფია ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ რეგიონალური ან უმცირესობათა ენები წარმოადგენს კონკრეტული ქვეყნის ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილს; რაც აყალიბებს ქვეყნის მოქალაქეობის სწორედ სამოქალაქო და არა ეთნიკური ნიშნით განსაზღვრულ კონცეფციას, რომლის დამკვიდრებაც ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, სადაც ეთნიკური ნაციონალიზმი ისტორიულად მძლავრ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა - რთულია. გამოწვევა საქართველოს სახელმწიფოსა და ქართული საზოგადოებისთვის მდგომარეობს იმ ფაქტის საფუძვლიანად გააზრებასა და გულწრფელად გაცნობიერებაში, რომ რეგიონალური ან უმცირესობათა ენები წარმოადგენს კულტურული სიმდიდრის, და არა ეთნიკური ქართველების ინტერესებისადმი მიმართული საფრთხის გამოხატულებას.

## დანართი 1: ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ

**სტრასბურგი, 2. X. 1992**

### პრეამბულა

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა, კერძოდ, იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას;

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის ისტორიული რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას; ითვალისწინებენ რა, რომ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენება წარმოადგენს ხელშეუხებელ უფლებას, რომელიც შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებულ პრინციპებს და ასევე, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებებითა დაცვის კონვენციის სულისკვეთებას;

მხედველობაში იღებენ რა ეუთოს მიერ შესრულებულ სამუშაოს, კერძოდ კი 1957 წლის პელისინკის დასკვნით აქტსა და 1990 წლის კოპენბაგენის შეხვედრის დოკუმენტს; ხაზს უსგამენ რა კულტურული ურთიერთობებისა და მრავალენოვნების ლირებულებას და ითვალისწინებენ რა იმას, რომ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების დაცვამ და წახალისებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ოფიციალურ ენებსა და მათი შესწავლის აუცილებლობას; აცნობიერებენ რა, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების დაცვა და მათვის ხელის შეწყობა წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემკრატიისა და კულტურული მრავალფეროვნების პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის \ ფარგლებში;

**მხედველობაში იღებენ რა სპეციფიკურ პირობებსა და ისტორიულ ტრადიციებს ევროპული სახელმწიფოების სხვადასხვა რეგიონებში, შეთანხმდნენ შემდეგზე:**

### ნაწილი I მუხლი 1 – განსაზღვრებები

ამ ქარტიის მიზნებისათვის:

- "რეგიონალური ან უმცირესობათა ენები" ნიშნავს ენებს, რომლებიც:
  - ტრადიციულად გამოიყენებიან სახელმწიფოს შესაბამის ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომლებიც რიცხობრივად უფრო პატარა ჯგუფს წარმოადგენენ, ვიდრე ამ სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობა; და
  - განსხვავდებიან სახელმწიფოს ოფიციალური ენისაგან (ენებისაგან); იგი არ მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალური ენის დიალექტებსა და არც მიგრანტების ენებს;

ბ) "ტერიტორია, რომელზედაც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენა" ნიშნავს გეოგრაფიულ რაიონს, სადაც აღნიშნული ენა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს იმ რაოდენობის ხალხისათვის, რომ ამ ქარტიით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება გამართლებული იყოს;

გ) "არა-ტერიტორიული ენები" ნიშნავს სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ გამოიყენებულ ენებს, რომლებიც განსხვავდებიან სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობის მიერ გამოიყენებული ენის ან ენებისაგან, მაგრამ რომლებიც, თუმცა ტრადიციულად გამოიყენებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვერ გაიგივდებიან რომელიმე კონკრეტულ რაიონთან.

## მუხლი 2 – ვალდებულებანი

1. თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს გამოიყენოს II ნაწილის დებულებები მის ტერიტორიაზე გამოიყენებული ყველა რეგიონული ან უმცირესობის ენის მიმართ, რომელიც აქმაყოფილებს 1-ლ მუხლში მოცემულ განსაზღვრებას.
2. თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს, მე-3 მუხლის თანახმად რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დროს განსაზღვრული თითოეული ენის მიმართ გამოიყენოს ქარტიის III ნაწილიდან შერჩეული არანაკლებ ოცდათხუთმეტი პუნქტი ან ქვეპუნქტი, რომელთა შორის არჩეული უნდა იყოს მე-8 და მე-12 მუხლებიდან არანაკლებ სამ-სამი პუნქტი და მე-9, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების თითო პუნქტი მაინც.

## მუხლი 3 - პრაქტიკული დონისძიებები

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელშიგანსაზღვრავს თითოეულ რეგიონალურ ან უმცირესობის ენას ან ოფიციალურ ენას, რომელიც მთელს მის ტერიტორიაზე ან ტერიტორიის ნაწილში ნაკლებად არის გამოიყენებული და რომელთა მიმართაც მოხდება მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული პუნქტების გამოიყენება.
2. ნებისმიერ მხარეს, მოგვიანებით ნებისმიერ დროს შეუძლია შეატყობინოს გენერალურ მდივანს, რომ იგი იღებს ქარტიის ნებისმიერი პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, რომლებიც არ არიან განსაზღვრული სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელში, ან იგი გამოიყენებს წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტს სხვა რეგიონალურ ან უმცირესობათა ან სხვა ოფიციალური ენების მიმართ, რომლებიც ნაკლებად გამოიყენებიან მის მთელს ტერიტორიაზე ან ტერიტორიის ნაწილში.
3. წინა პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები განიხილება რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების შემადგენელ ნაწილად და აქვს იგივე იურიდიული ძალა შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან.

## მუხლი 4 - დაცვის არსებული რეჟიმები

1. არაფერი, გათვალისწინებული ამ ქარტიით, შეიძლება ახსნა-განმარტებული იქნას იმგვარად, რომ იზღუდებოდეს, ან ირღვოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი რომელიმე უფლება.
2. ამ ქარტიის დებულებები ხეგავლენის არ მოახდენენ უფრო ხელსაყრელ დებულებებზე, რომლებიც ეხებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სტატუსს ან უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც შეიძლება არსებობდეს ხელშემკვრელ სახელმწიფოში ან უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებით.

## მუხლი 5 - არსებული ვალდებულებანი

არაფერი, გათვალისწინებული ამ ქარტით, შეიძლება ახსნა-განმარტებული იქნას იმგვარად, რომ იძლევოდეს რაიმე საქმიანობაში ჩართვის ან რაიმე საქმიანობის განხორციელების უფლებას, რაც წინააღმდეგობაში იქნება გაერთიანებული ერების ქარტის მიზნებთან ან საერთაშორისო სამართლით დადგენილ სხვა ვალდებულებებთან, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ჩათვლით.

## მუხლი 6 – ინფორმაცია

მხარეები ვალდებულებას იღებენ ზედამხედველობა გაუწიონ, რომ შესაბამისი ხელისუფლების ორგანოები, ორგანიზაციები და პირები ინფორმირებულნი იყვნენ ამ ქარტით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

### ნაწილი II

**მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განსახორციელებელი მიზნები და პრინციპები**

### მუხლი 7 - მიზნები და პრინციპები

1. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების მიმართ, იმ ტერიტორიებზე, რომლებზედაც ასეთ ენებს იყენებენ და თითოეული ენის მდგომარეობის შესაბამისად, მხარეები თავიანთობლიტიკას, კანონმდებლობასა და პრაქტიკულ საქმიანობას ააგებენ შემდეგ მიზნებსა და პრინციპებზე დაყრდნობით:

ა) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების აღიარება კულტურული სიმდიდრის გამოხატულებად;

ბ) თითოეული რეგიონალური ან უმცირესობის ენის გეოგრაფიული არეალის პატივისცემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ არსებული ან ახალი ადმინისტრაციული დაყოფა დაბრკოლებას არ წარმოადგენდეს შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის ხელშეწყობისათვის;

გ) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ხელშესაწყობად გადამჭრელი მოქმედების აუცილებლობის აღიარება, მათი დაცვის მიზნით;

დ) ზეპირი და წერილობითი ფორმით, საჯაროდ და პირად ცხოვრებაში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების ხელშეწყობა და/ან წახალისება;

ე) ქარტით მოცულ სფეროებში რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებსა და სახელმწიფოში იმავე ან მსგავს ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის კავშირის შენარჩუნება და განვითარება, ისევე, როგორც კულტურული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოში სხვა ჯგუფებთან, რომლებიც იყენებენ განსხვავებულ ენებს;

ვ) შესაბამისი ფორმებისა და საშუალებების უზრუნველყოფა უკელა შესაბამის საფეხურზე რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლებისა და შესწავლისათვის;

ზ) რეგიონალური ან უმცირესობის ენის შესასწავლად პირობების შექმნა იმ რაიონში მოცხოვრები პირებისათვის, სადაც გამოიყენება შესაბამისი ენა, თუკი შესაბამისი პირები ვერ საუბრობენ ამ ენაზე და აქვთ მისი შესწავლის სურვილი;

თ) უნივერსიტეტებსა ან ანალოგიურ ინსტიტუტებში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესწავლისა და გამოკვლევის ხელშეწყობა;

ი) ამ ქარტით მოცულ სფეროებში ტრანსნაციონალური გაცვლების შესაბამისი ფორმების ხელშეწყობა, იმ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ხელშესაწყობად, რომლებიც იდენტური ან მსგავსი ფორმით გამოიყენებიან ორ ან მეტ სახელმწიფოში.

2. მხარეები ვალდებულებას იღებენ აღკვეთონ, თუ ჯერ არ აღუკვეთავთ, რეგიონალურ და უმცირესობათა ენების მიმართ ნებისმიერი გაუმართლებელი გამორჩევა,

გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რომელიც მიზნად ისახავს ამ ენების დაცვისა და განვითარებისათვის ხელის შეშლას ან საფრთხეში ჩაგდებას. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სასარგებლოდ სპეციალური ზომების მიღება, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ ენებზე მოლაპარაკეთა და დანარჩენ მოსახლეობას შორის თანასწორობის ხელშეწყობას ან რომლებიც სათანადოდ იღებენ მსედველობაში ამ ენების განსაკუთრებულ პირობებს, არ ჩაითვლება დისკრიმინაციის აქტად უფრო გავრცელებულ ენებზე მოლაპარაკეთა მიმართ.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ შესაბამისი ღონისძიებებით ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებას ქვეყნის ყველა ლინგვისტურ ჯგუფს შორის და კერძოდ, თავიანთ ქვეყნებში უზრუნველყოფილი განათლებისა და პროფესიული მომზადების მიზნებს შორის ჩართონ რეგიონალური და უმცირესობათა ენების მიმართ პატივისცემა, გაგება და ტოლერანტული დამოკიდებულება და ასევე წაახალისონ მასმედია იმავე მიზნების დასახვისათვის.

4. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების მიმართ ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრისას, მხარეები მხედველობაში მიიღებენ ამ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფების საჭიროებებსა და მათ მიერ გამოთქმულ სურვილებს. წახალისდება მათ მიერ, აუცილებლობის შემთხვევაში, ისეთი ორგანოების შექმნა, რომლებიც, ხელისუფლების ორგანოებს რჩევებს მისცემენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

5. მხარეები ვალდებულებას იღებენ არატერიტორიული ენების მიმართ მუტატის მუტანდის გამოიყენონ, ზემო 1 - 4 პუნქტებში მოცემული პრინციპები. ამასთან, ამ ენებთან მიმართებაში, წინამდებარე ქარტიის ასამოქმედებლად მისაღები ზომების ხასიათი და მასშტაბი განისაზღვრება მოქნილი წესით, ადნიშნულ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფების საჭიროებებისა და სურვილების გათვალისწინებითა და მათი ტრადიციებისა და სპეციფიკური თავისებურებების პატივისცემით.

### ნაწილი III

მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით აღებული ვალდებულებების შესაბამისად რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ხელშეწყობის ზომები

#### მუხლი 8 – განათლება

1. განათლების სფეროში მხარეები ვალდებულებას იღებენ იმ ტერიტორიულზე, სადაც ასეთი ენები გამოიყენება, ამ ენათაგან თითოეულის მდგომარეობის გათვალისწინებით და სახელმწიფო ენის (ენების) სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე:

ა)

ი. ხელმისაწვდომი გახადონ სკოლამდელი განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;

ii. ხელმისაწვდომი გახადონ სკოლამდელი განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

iii. გამოიყენონ ზემო ი და იი ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება; ან

iv. თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს არა აქვთ პირდაპირი კომპეტენცია სკოლამდელი განათლების სფეროში, ხელი შეუწყონ და წაახალისონ ი-დან იი-მდე ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომების გამოყენება;

ბ)

- i. ხელმისაწვდომი გახადონ დაწყებითი განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;
- ii. ხელმისაწვდომი გახადონ დაწყებითი განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- iii. უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის დაწყებითი განათლების პროგრამაში ჩართვა მეცადინეობათა განრიგის შემადგენელ ნაწილად; ან
- iv. გამოიყენონ ი-დან იი-მდე ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომებიდან ერთ-ერთი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება;

გ)

- i. ხელმისაწვდომი გახადონ საშუალო განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;
- ii. ხელმისაწვდომი გახადონ საშუალო განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- iii. უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის საშუალო განათლების პროგრამაში ჩართვა მეცადინეობათა განრიგის შემადგენელ ნაწილად; ან
- iv. გამოიყენონ ზემო ი-დან იი-მდე ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომებიდან ერთ-ერთი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომლებიც, ან სათანადო შემთხვევებში, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.

ღ)

- i. ხელმისაწვდომი გახადონ ტექნიკური და პროფესიული განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- ii. ხელმისაწვდომი გახადონ ტექნიკური და პროფესიული განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან
- iii. ტექნიკური და პროფესიული განათლების სფეროში უზრუნველყონ, რომ შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლება იყოს მეცადინეობათა განრიგის შემადგენელი ნაწილი; ან
- iv. გამოიყენონ ზემო ი-დან იი-მდე ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომებიდან ერთ-ერთი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომლებიც, ან სათანადო შემთხვევებში, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.

ჟ)

- i. ხელმისაწვდომი გახადონ საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ თუ უმცირესობათა ენებზე; ან
- ii. უზრუნველყონ საშუალებები ამ ენების შესასწავლად უნივერსიტეტის ან უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საგნის ფორმით;
- iii. თუკი უმაღლესი განათლების ინსტიტუტების მიმართ სახელმწიფოს როლის მიზეზით კერძო მოხერხდება ი და ი ქვე-პუნქტების განხორციელება, წაახალისონ და/ან ნება დართონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე საუნივერსიტეტო და სხვა ფორმის უმაღლესი განათლების მიღების ან ამ ენების საუნივერსიტეტო ან უმაღლესი განათლების საგნებად სწავლების შესაძლებობების უზრუნველყოფას;

ვ)

- i. მიიღონ ზომები მოზრდილთათვის და განათლების გაგრძელებისათვის კურსების ჩასატარებლად, რომლებშიც სწავლება მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელდება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;
- ii. უზრუნველყონ, რომ ასეთი ენები იყოს მოზრდილთა და განგრძობითი განათლების საგნები, ან;

iii. თუ ხელისუფლების ორგანოებს პირდაპირი კომპეტენცია არა აქვთ მოზრდილთა განათლების სფეროში, ხელი შეუწყონ და წაახალისონ, რომ ასეთი ენები წარმოადგენდნენ მოზრდილთა და განგრძობითი განათლების დისციპლინებს.

ზ) მიიღონ ზომები, რომ უზრუნველყოფილი იქნას იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება, რომელიც ასახულია რეგიონალურ ან უმცირესობის ენაში;

თ) უზრუნველყონ მასწავლებელთა ძირითადი და შემდგომი პროფესიული მომზადება, რაც მოითხოვება იმ პუნქტების განსახორციელებლად, რომლებიც მიღებული არიან მსარის მიერ ა-დან გ-დან პუნქტებს შორის.

ი) შექმნან საზედამხედველო ორგანო ან ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლების შემოდგებისა და განვითარების სფეროში მოდწეული პროგრესის მონიტორინგზე და მათ მიერ მოკვლეული შედეგების შესახებ პეროდული მოხსენებების შედგენაზე, რომლებიც შემდგომში საჯაროდ გამოქვეყნდებიან.

2. რაც შეეხება განათლებას იმ ტერიტორიებზე, სადაც ტრადიციულად არ გამოიყენებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენები, მხარეები ვალდებულებას იღებენ ნება დართონ, წაახალისონ ან უზრუნველყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ან ამ ენების სწავლება განათლების ყველა შესაბამის საფეხურზე, თუ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოღაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს.

## მუხლი 9 - სასამართლო ორგანოები

1. მხარეები ვალდებულებას იღებენ, იმ სასამართლო ოლქების მიმართ, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც იყენებენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს, ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას ამ ენათაგან თითოეულის მდგომარეობის შესაბამისად და იმ პირობით, რომ წინამდებარე პუნქტით უზრუნველყოფილი შედაგათები მოსამართლის მიერ არ უნდა განიხილებოდეს ისეთებად, რომლებიც აბრკოლებენ მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას:

ა) სისხლის სამართალწარმოებაში:

i. უზრუნველყონ, რომ სასამართლოები ერთ-ერთი მხარის თხოვნით ახორციელებდნენ სამართალწარმოებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; და/ან

ii. ბრალდებულისათვის უზრუნველყონ მისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენების უფლება; და/ან

iii. უზრუნველყონ, რომ წერილობითი თუ ზეპირი თხოვნები და მტკიცებულებები არ განიხილებოდნენ მიუღებლად მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი ფორმულირებულნი არიან რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე; და/ან

iv. თხოვნის საფუძველზე აწარმოონ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა გამოყენებით შესაბამის პირებზე ზედმეტი ხარჯების დაკისრების გარეშე;

ბ) სამოქალაქო სამართალწარმოებაში:

i. უზრუნველყონ, რომ სასამართლოები ერთ-ერთი მხარის თხოვნით ახორციელებდნენ სამართალწარმოებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; და/ან

ii. ნება დართონ, რომ სამართალწარმოების მონაწილის სასამართლოში პირადად გამოცხადებისას, მას შეეძლოს მისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენება მისთვის დამატებითი ხარჯების დაკისრების გარეშე; და/ან

iii. ნება დართონ, რომ მოხდეს დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარმოება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე, აუცილებლობის შემთხვევაში თარჯიმანთა და მთარგმნელთა გამოყენებით;

გ) ადმინისტრაციულ საკითხებზე სამართალწარმოებაში:

- i. უზრუნველყონ, რომ სასამართლოებმა ერთ-ერთი მხარის თხოვნით განახორციელონ სამართლწარმოება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; და/ან
- ii. ნება დართონ, რომ სამართლწარმოების მონაწილის სასამართლოში პირადად გამოცხადებისას მას შეეძლოს მისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენება მისთვის დამატებითი ხარჯების დაკისრების გარეშე; და/ან
- iii. ნება დართონ, რომ მოხდეს დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარმოება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა გამოყენებით;
- დ) გადადგან ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ, რომ ზემო ო და ბ პუნქტების i და iii ქვეპუნქტებისა და თარჯიმანთა და მთარგმნელთა ნებისმიერ აუცილებელ გამოყენებას შედეგად არ მოჰყვეს დამატებითი ხარჯების დაკისრება შესაბამის პირებზე.

## 2. მხარეები ვალდებულებას იღებენ:

- ა) არ უარყონ სახელმწიფოში მომზადებულ სასამართლო დოკუმენტთა იურიდიული ძალა მხოლოდ იმის გამო, რომ, ისინი შედგენილნი არიან რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე; ან
- ბ) მხარეებმა თავიანთ შორის ურთიერთობებში არ უარყონ მომზადებულ სასამართლო დოკუმენტთა იურიდიული ძალა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი შედგენილნი არიან რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე და უზრუნველყონ, რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იყოს მესამე მხარეთა წინააღმდეგ, რომლებიც არ იყენებენ ამ ენებს, იმ პირობით, რომ დოკუმენტების შინაარსი უნდა გაეცნოთ მათ იმ პირების მიერ, რომლებიც მოიხმობენ ამ დოკუმენტს; ან
- გ) მხარეებმა თავიანთ შორის ურთიერთობებში არ უარყონ ქვეყანაში მომზადებულ სასამართლო დოკუმენტთა იურიდიული ძალა, მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი შედგენილნი არიან რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე.
3. მხარეები ვალდებულებას იღებენ ხელმისაწვდომი გახადონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკანონმდებლო ტექსტები და კერძოდ, ისინი, რომლებიც ეხებიან ამ ენებზე მოლაპარაკებს, თუკი ამ ტექსტების მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

## მუხლი 10 - ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოები და სახელმწიფო სამსახურები

1. სახელმწიფოს იმ ადმინისტრაციულ რაიონებში, სადაც ცხოვრობს რეგიონალური ან უმცირესობების ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის ისეთი საკმარისი რაოდენობა, რომელიც ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას, და თითოეული ენის მდგომარეობის გათვალისწინებით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, იმ ზომით, რითაც ეს ობიექტურად შესაძლებელი იქნება:

ა)

- i. უზრუნველყონ, რომ ხელისუფლების ადმინისტრაციულმა ერთეულებმა გამოიყენონ რეგიონალური ან უმცირესობების ენები; ან
- ii. უზრუნველყონ, რომ ამ ორგანოთა მოხელეებმა, რომლებიც კონტაქტში შედიან საზოგადოებასთან, გამოიყენონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენები იმ პირებთან ურთიერთობებში, რომლებიც მიმართავენ მათ ამ ენებზე; ან
- iii. უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკებს შეძლოთ წერილობითი ან ზეპირი მიმართვების წარდგენა და ამ ენებზე შედგენილი პასუხების მიღება;
- iv. უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკებს შეეძლოთ ამ ენებზე შედგენილი წერილობითი ან ზეპირი მიმართვების წარდგენა; ან
- v. უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკებს შეეძლოთ ამ ენებზე შედგენილი დოკუმენტის წარდგენა დადგენილი წესით;

- ბ) ხელმისაწვდომი გახადონ ფართოდ გამოყენებული ადმინისტრაციული ტექსტები და ფორმები რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ან ორენოვანი ვერსიებით;
- გ) ნება დართონ ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოებს შეადგინონ დოკუმენტები რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე.
2. ხელისუფლების იმ ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოთა მიმართ, რომელთა ტერიტორიაზეც მოსახლეობის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ისეთია, რომ ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას, მსარეები ვალდებულებას იღებენ ნება დართონ და/ან წახალისონ:
- ა) რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების გამოყენება ხელისუფლების რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ფარგლებში;
- ბ) რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა შესაძლებლობა წარადგინონ ამ ენებზე შედგენილი ზეპირი ან წერილობითი მიმართვები;
- გ) ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების მიერ მათი ოფიციალური დოკუმენტების გამოქვეყნება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზეც;
- დ) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მათი ოფიციალური დოკუმენტების გამოქვეყნება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზეც;
- ე) ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების მიერ მათ შეკრებებზე გამართული განხილვებისას რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება, ამასთან, სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) გამოყენების გამორიცხვის გარეშე;
- ვ) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მათ შეკრებებზე გამართული განხილვებისას რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება, ამასთან, სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) გამოყენების გამორიცხვის გარეშე;
- ზ) აუცილებლობის შემთხვევაში, ოფიციალურ ენაზე (ენებზე) სახელებთან ერთად რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ადგილების სახელწოდებათა ტრადიციული და სწორი ფორმების გამოყენება და მიღება.
3. ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოების ან მათი სახელით მოქმედი პირების მიერ უზრუნველყოფილი სახელმწიფო სამსახურების მიმართ, მხარეები ვალდებულებას იღებენ, მათი ტერიტორიის ფარგლებში, სადაც გამოიყენებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენები, თითოეული ენის მდგომარეობის შესაბამისად და იმ ზომით, რითაც ეს ობიექტებიდან შესაძლებელი იქნება:
- ა) უზრუნველყონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება სამსახურის უზრუნველყოფისას; ან
- ბ) ნება დართონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეებს წარადგინონ თხოვნა და მიიღონ პასუხი ამ ენებზე; ან
- გ) ნება დართონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეებს წარადგინონ ამ ენებზე შედგენილი თხოვნა.
4. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებიდან მათ მიერ მიღებული დებულებების ასამოქმედებლად მხარეები ვალდებულებას იღებენ მიიღონ შემდეგი ერთი ან მეტი ზომა:
- ა) გადათარგმნა ან თარჯიმნობა, როდესაც ეს მოითხოვება;
- ბ) სათანადო მოხელეთა დასაქმება სახელმწიფო სამსახურში და აუცილებლობის შემთხვევაში, მათი და სხვა სახელმწიფო მოხელეთა პროფესიული მომზადება;
- გ) რეგიონალური ან უმცირესობის ენის მცოდნე სახელმწიფო სამსახურის მოხელეთა თხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილება მათი იმ ტერიტორიაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, სადაც გამოიყენება შესაბამისი ენა.
5. მხარეები ვალდებულებას იღებენ ნება დართონ გვარების გამოყენებასა და მიღებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე, შესაბამისი პირების თხოვნის საფუძველზე.

## მუხლი 11 – მასმედია

1. მხარეები ვალდებულებას იღებენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეებისათვის, იმ ტერიტორიებზე, სადაც გამოიყენება ეს ენები, თითოეული

ენის მდგომარეობის შესაბამისად და იმ ზომით, რითაც ხელისუფლების ორგანოები პირდაპირ ან არაპირდაპირ კომპეტენტურნი არიან და აქვთ ამ სფეროში როლის შესრულების უფლებამოსილება, მასმედიის დამოუკიდებლობისა და ავტონომიის პრინციპის პატივისცემით:

ა) იმ ზომით, რითაც რადიო და ტელევიზია ახორციელებენ სახელმწიფო სამსახურის ფუნქციებს:

i. უზრუნველყონ თუნდაც ერთი რადიო სადგურისა და სატელევიზიო არხის შექმნა რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

ii. წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ თუნდაც ერთი რადიო სადგურისა და ერთი სატელევიზიო არხის შექმნას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

iii. სათანადოდ უზრუნველყონ, რომ ტელე-რადიო მაუწყებლობამ წარმოადგინოს პროგრამები რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;

ბ)

i. წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ თუნდაც ერთი რადიო სადგურისა და ერთი სატელევიზიო არხის შექმნას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

ii. წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რადიო პროგრამების მაუწყებლობას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე რეგულარულ საფუძველზე;

გ)

i. წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ თუნდაც ერთი სარელევიზიო არხის შექმნას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;

ii. წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე რეგულარულ საფუძველზე;

დ) წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე აუდიო დაუდიოვიზუალური ნაშრომების წარმოებას და დისტრიბუციას;

ე)

i. წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე თუნდაც ერთი გაზეთის შექმნას და/ან შენარჩუნებას; ან

ii. წახალისონ და/ან ხელი შეუწყონ საგაზეთო სტატიების გამოქვეყნებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე რეგულარულ საფუძველზე;

ვ)

o. დაფარონ იმ მასმედიის დამატებითი ხარჯები, რომლებიც იყენებენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს, როდესაც კანონით ზოგადად უზრუნველყოფილია მასმედიის ფინანსური დახმარება; ან

ii. გამოიყენონ ფინანსური დახმარების არსებული ზომები რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე შექმნილი აუდიოვიზუალური ნაწარმოებების მიმართაც.

ზ) მხარი დაუჭირონ იმ უურნალისტთა და მასმედიის სხვა მოხელეთა პროფესიულ მომზადებას, რომლებიც იყენებენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს.

2. მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ მეზობელი ქვეყნებიდან იმ ენაზე რადიო და ტელემაუწყებლობის პირდაპირი მიღების თავისუფლება, რომელიც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენის იღების უზრუნველყონ ან მსგავსი ფორმით და არ დააბრკოლონ რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის გადმოცემა მეზობელი ქვეყნებიდან ასეთ ენაზე. ამას გარდა, ისინი ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ, რომ შეზღუდვები არ იქნას დაწესებული გამოხატვის თავისუფლებაზე და ბეჭდვითი პრესის მეშვეობით ინფორმაციის თავისუფალ ცირკულაციაზე იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენის იღების უზრუნველყონ ამ მსგავსი ფორმით. ძემოხსენებული თავისუფლებების განხორციელება, იმის გამო, რომ იგი შეიცავს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან კანონით და აუცილებელნი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე უწესრიგობის ან დანაშაულის პრევენციისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის და სხვათა

უფლებებისა და რეპუტაციის დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმციის გამქდავნების თავიდან ასაცილებლად, ან სასამართლოს ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა ინტერესები წარმოდგენილნი იქნან ან მხედველობაში იქნან მიღებულნი იმ

ორგანოების მიერ, რომლებიც შეიძლება შეიქმნან კანონის შესაბამისად მასმედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის უზრუნველსაყოფად.

## მუხლი 12 - კულტურული საქმიანობა და საშუალებები

1. კულტურული საქმიანობისა და ობიექტების, განსაკუთრებით, ბიბლიოთეკების, ვიდეოთეკების, კულტურული ცენტრების, მუზეუმების, არქივების, აკადემიების, თეატრებისა და კინოთეატრების, ისევე როგორც ლიტერატურული ნაწარმოებებისა და კინომატოგრაფიული პროდუქციის, ხალხური შემოქმედების, ფესტივალებისა და კულტურის დარგების მიმართ, რომლებიც, ინტერ ალია, მოიცავენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ იმ ტერიტორიებზე სადაც გამოიყენებიან ასეთი ენები და იმ ზომით, რითაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიკომპეტენტურნი არიან და აქვთ უფლებამოსილება ან ასრულებენ როლს ამ სფეროში:

ა) წაახალისონ რეგიონალური ან უმცირესობის ენისათვის დამახასიათებელი თვითგამოხატვის საშუალებები და ინიციატივები და მხარი დაუჭირონ ამ ენებზე შექმნილი ნაწარმოებებისადმი ხელმისაწვდომების სხვადასხვა საშუალებებს;

ბ) წაახალისონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე შექმნილი ნაშრომებისადმი ხელმისაწვდომობა სხვა ენებში სათარგმანო, დუბლირების, პოსტ-სინქრონიზაციისა და სუბტიტრირების საქმიანობისათვის დახმარების გაწევის გზით;

გ) წაახალისონ სხვა ენებზე შექმნილი ნაწარმოებებისადმი ხელმისაწვდომობა რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მთარგმნელობითი, დუბლირების, პოსტ-სინქრონიზაციისა და სუბტიტრირების საქმიანობისათვის დახმარების გაწევის გზით;

დ) უზრუნველყონ, რომ სხვადასხვა სახის კულტურული საქმიანობის ორგანიზაციისა და მხარდაჭერისათვის პასუხისმგებელმა ორგანოებმა დააწესონ შესაბამისი ანაზღაურება რეგიონალური ან უმცირესობათა ენებისა და კულტურის ცოდნისა და გამოყენებისათვის იმ დონისძიებებში, რომლებსაც ისინი წამოიწყებენ ან რომლებისთვისაც ისინი უზრუნველყოფენ მხარდაჭერას;

ე) ხელი შეუწყონ იმ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავენ რომ, კულტურული საქმიანობის ორგანიზაციისა და მხარდაჭერისათვის პასუხისმგებელ ორგანოებს პყავდეთ ისეთი პერსონალი, რომელიც სრულად ფლობს შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობის ენას, ისევე როგორც, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის ენას (ენებს);

ვ) წაახალისონ რეგიონალური ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა წარმომადგენლის მონაწილეობა კულტურული საქმიანობისათვის საშუალებების უზრუნველყოფაში და მათ დაგეგმვაში;

ზ) წაახალისონ და/ან მხარი დაუჭირონ ისეთი ორგანოს ან ორგანოების შექმნას, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე შექმნილი ნაწარმოებების შეკრებაზე, ასლის შენახვასა და წარმოდგენაზე ან გამოქვეყნებაზე;

თ) აუცილებლობის შემთხვევაში, შექმნან და/ან ხელი შეუწყონ და დააფინანსონ მთარგმნელობითი და ტერმინოლოგიის კვლევითი სამსახურები, კერძოდ იმ მიზნით, რომ შენარჩუნებული იქნას და განვითარდეს შესაბამისი აღმინისტრაციული, კომერციული, ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური ან სამართლებრივი ტერმინოლოგია თითოეულ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაში.

2. იმ ტერიტორიების მიმართ, იმათ გარდა, სადაც ტრადიციულად გამოიყენებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენები, თუკი რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე

მოლაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს, მხარეები ვალდებულებას იღებენ ნება დართონ, წახალისონ და/ან უზრუნველყონ შესაბამისი კულტურული საქმიანობა და საშუალებები წინა პუნქტის შესაბამისად.

3. მხარეები ვალდებულებას იღებენ კულტურის სფეროში მათი პოლიტიკის საზღვარგარეთ განხორციელებისას, სათანდო ყურადღება მიაქციონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს და იმ კულტურას, რომლის გამოხატულებაც ისინი არიან.

### **მუხლი 13 - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება**

1. ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის მიმართ, მხარეები ვალდებულებას იღებენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით:

ა) აღმოფხვრან მათი კანონმდებლობიდან ნებისმიერი დებულება, რომელიც გასამართლებელი მიზეზების გარეშე კრძალავს ან ზღუდავს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას დოკუმენტებში, რომლებიც ეხებიან ეკონომიკურ ან სოციალურ ცხოვრებას, კერძოდ შრომით კონტრაქტებს, და ასევე, ტექნიკურ დოკუმენტებში, ისეთებში როგორიცაა პროდუქტების ან აღჭურვილობის გამოყენების ინსტრუქციები;

ბ) აკრძალონ კომპანიათა შიდა რეგულაციებსა და კერძო დოკუმენტებში ისეთი დებულებების ჩართვა, რომლებიც გამორიცხავენ ან ზღუდავენ რეგიონალურ ან უმცირესობების ენათა გამოყენებას, სულ მცირე ამ ენაზე მოლაპარაკებს შორის;

გ) არ დაუშვან ისეთი პრაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების შეფერხებას ეკონომიკურ ან სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) ხელი შეუწყონ და/ან წახალისონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება სხვა საშუალებებით, რომლებიც გათვალისწინებული არ არიან ზემო ქვეპუნქტებით.

2. ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის მიმართ, მხარეები ვალდებულებას იღებენ, იმ ზომით, რითაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კომპეტენტურნი არიან, იმ ტერიტორიებზე, სადაც გამოიყენებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენები და იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად მიზანშეწონილია:

ა) ჩართონ მათ საფინანსო და საბანკო რეგულაციებში დებულებები, რომლებიც კომერციულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მყოფი პროცედურების საშუალებით, დართავენ ნებას რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას გადახდის ორდერების (ჩეკები, ვექსელები) ან სხვა ფინანსური დოკუმენტების შედგენაში, ან შესაბამის შემთხვევებში, უზრუნველყონ ასეთი დებულებების განხორციელება;

ბ) მათი კონტროლის (სახელმწიფო სექტორის) ქვეშ მყოფ ეკონომიკურ და სოციალურ სექტორში ორგანიზება გაუწიონ ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების წახალისებას;

გ) უზრუნველყონ, რომ სოციალური სფეროს ობიექტებს, ისეთებს როგორებიცაა საავადმყოფები, მოხუცებულთა სახლები, თავშესაფრები, შეეძლოთ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკე იმ პირების მიღება და მათთან ურთიერთობა ამავე ენაზე, რომლებსაც ესაჭიროებათ მოვლა ავადმყოფობის, ასაკის ან სხვა მიზეზების გამო;

დ) შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების ინსტრუქციები შედგენილი იყოს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზეც;

ე) უზრუნველყონ, რომ მომხმარებელთა უფლებებზე სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე.

## მუხლი 14 - საზღვართშორისი გაცვლები

მხარეები ვალდებულებას იღებენ:

- ა) გამოიყენონ არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები, რომლებიც მათ აკავშირებთ იმ სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ გამოიყენება იდენტური ან მსგავსი ფორმით, ან აუცილებლობის შემთხვევაში, ეცალონ დადონ ასეთი შეთანხმებები, იმგარად, რომ წაახალისონ კონტაქტები ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკეთა შორის შესაბამის სახელმწიფოებში კულტურის, განათლების, ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და შეუწყვეტელი განათლების სფეროებში;
- ბ) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სასარგებლოდ ხელი შეუწყონ და/ან წაახალისონ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, კერძოდ, ხელისუფლების რეგიონალურ ან ადგილობრივ ორგანოებს შორის, რომელთა ტერიტორიებზეც ერთი და იგივე ენა გამოიყენება იდენტური ან მსგავსი ფორმით.

## ნაწილი IV ქარტის გამოყენება

### მუხლი 15 - პერიოდული მოხსენებები

1. მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმით წარუდგენენ მოხსენებას ამ ქარტის II ნაწილის შესაბამისად მათ მიერ გატარებული პოლიტიკის და III ნაწილის მათ მიერ მიღებულ დებულებათა შესაბამისად განხორციელებული ზომების შესახებ. პირველი მოხსენების წარდგენა მოხდება შესაბამისი მხარის მიმართ ამ ქარტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგი მოხსენებების წარდგენა მოხდება სამწლიანი ინტერვალებით პირველი მოხსენების შემდეგ.
2. მხარეები გამოაქვეყნებენ თავიან მოხსენებებს.

### მუხლი 16 - მოხსენებების განხილვა

1. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მე-15 მუხლის შესაბამისად წარდგენილი მოხსენებების შემოწმება მოხდება მე-17 მუხლის შესაბამისად შექმნილი ექსპერტთა კომიტეტის მიერ.
2. ხელშემკვრელ სახელმწიფოში კანონიერად შექმნილ ორგანოებსა და ასოციაციებს შეუძლიათ მიაჰყონ ექსპერტთა კომიტეტის უურადღება იმ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან მხარის მიერ ამ ქარტის III ნაწილის შესაბამისად აღებულ ვალდებულებებს. შესაბამის მხარესთან კონსულტაციების გამართვის შემდეგ, ექსპერტთა კომიტეტს შეუძლია მხედველობაში მიიღოს ინფორმაცია ქვემო მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოხსენების მომზადებისას. ამ ორგანოებს ან ასოციაციებს შეუძლიათ შემდგომშიც წარმოადგინონ განცხადებები მხარის მიერ II თავის შესაბამისად გატარებული პოლიტიკის შესახებ.
3. 1-ლ პუნქტში განსაზღვრული მოხსენებებისა და მე-2 პუნქტში მოხსენიებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა კომიტეტი მოამზადებს მოხსენებას მინისტრთა კომიტეტისათვის წარსადგენად.
4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოხსენება, კერძოდ, შეიცავს ექსპერტთა კომიტეტის წინადადებებს მინისტრთა კომიტეტის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი ერთი ან მეტი მხარის მიმართ სიტაურით მოთხოვნილი რეკომენდაციების მომზადების თაობაზე.
5. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ყოველ ორ წელიწადში გააკეთებს დებალურ მოხსენებას საპარლამენტო ასამბლეაზე ამ ქარტის გამოყენების თაობაზე.

## **მუხლი 17 - ექსპერტთა კომიტეტი**

1. ექსპერტთა კომიტეტი შედგება თითოეული მხარის თითო წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ნიშნავს მინისტრთა კომიტეტი შესაბამისი მხარის მიერ წარდგენილი უმაღლესი მორალური თვისებებისა და ქარტით მოცულ საკითხებში აღიარებული კომპეტენციის მქონე პირთაგან შემდგარი სიიდან.
2. კომიტეტის წევრები ინიშნებიან ექვსი წლის ვადით და შესაძლებელი იქნება მათი ხელახალი დანიშვნა. წევრი, რომელიც ვერ შეძლებს სამსახურის ვადის გასრულებას, შეიცვლება 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად და შემცვლელი წევრი იმსახურებს მის მიერ შეცვლილი წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.
3. ექსპერტთა კომიტეტი მიიღებს თვის რეგლამენტს. მისი სამდივნოთი მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

## **ნაწილი V დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 18**

ეს ქარტია დიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

### **მუხლი 19**

1. ეს ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოხდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს ხუთი წევრი სახელმწიფო მე-18 მუხლის დებულებების შესაბამისად გამოთქვამს თავის თანხმობას იყოს ვალდებული ქარტით.
2. ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თავის თანხმობას იყოს ვალდებული მისით, ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოხდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან.

### **მუხლი 20**

1. ამ ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფო მიუერთდეს ამ ქარტიას.
2. ნებისმიერი მიერთებული სახელმწიფოს მიმართ, ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოხდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას მიერთების სიგელის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის ჩაბარების თარიღიდან.

### **მუხლი 21**

1. ნებისმიერ მხარეს, ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარებისას, შეუძლია გააკეთოს ერთი ან მეტი დათქმა ამ ქარტიის მე-7 მუხლის მე-2-დან მე-5-მდე პუნქტების მიმართ. დაუშვებელია სხვა დათქმების გაკეთება.
2. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოითხოვოს იგი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების საშუალებით. უკან

გამოთხოვა ძალაში შედის გენერალური მდინის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

## მუხლი 22

1. ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს ამ ქარტიის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების საშუალებით.
2. ასეთი დენონსაცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოხდევს ექვსთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

## მუხლი 23

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდება ამ ქარტიას:

- ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;
- გ) მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად ამ ქარტიის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
- დ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების გამოყენებისას მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;
- ე) ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც ეხება ამ ქარტიას. ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ქარტიას. შესრულებულია სტრასბურგში 1992 წლის ნოემბრის მე-5 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიწვეულია მიუერთდეს ამ ქარტიას.